USAID
ამერიკელი ხალხისაგან
დემოკრატიული მმართველობა საქართველოში

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

# ინფორმაციის თავისუფლების საუკეთესო პრაქტიკის კვლევა: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სტატისტიკური ანალიზი

*საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საქართველოს კონტროლის პალატა, აჭარის ა/რ მთავრობა, აჭარის ა/რ სამინისტროები*

კვლევის ავტორები: ლევან ავალიშვილი, მარინე კეჭაყმაძე, თამარ იაკობიძე, გიორგი კლდიაშვილი
რედაქტორი: ლევან ავალიშვილი

კვლევა განხორციელდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G-3)“ ფარგლებში.

ამ ნაშრომის შექმნა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის საშუალებით გაწეული დახმარებით. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

2012 წელი

## სარჩევი

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სტატისტიკური კვლევა ........................................................ 4
კვლევის მეთოდოლოგია ........................................................................................................ 5
ანალიზის აღწერა ........................................................................................................ 5
მეთოდები ........................................................................................................ 5
პროექტის სამიზნე საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების ანალიზი ................ 5
საჯარო სამსახურის ბიურო ........................................................................................................ 7
საქართველოს კონტროლის პალატა ........................................................................................ 8
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ........................................................................................ 9
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ........................................................................ 9
აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ........................................................ 10
აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ........................................................ 10
აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ........................................ 10
აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ........................................ 11
დასკვნა ........................................................................................................ 11
რეკომენდაცია: ........................................................................................................ 12
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ ........................................ 13
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად ................... 13
განსაზღვრული ანგარიშის ფორმა ........................................................................................ 13
იუსტიციის სამინისტრო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2011 წწ. ............................ 17
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: იუსტიციის სამინისტრო ................................ 24
კონტროლის პალატა - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2011 წწ. ................................ 34
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: კონტროლის პალატა ........................................ 37
კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2012 წწ. ........................................................................................................ 42
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ............. 48
საჯარო სამსახურის ბიურო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2012 წწ. ....................... 55
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: საჯარო სამსახურის ბიურო ............................ 59
აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2011 ..................... 66
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ მთავრობა ........................................ 70
აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკისა სამინისტრო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2011 წწ.95

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 99

აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2010-2011 წწ. ........ 104

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტრო 109

აჭარის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2009-2011 წწ. ... 115

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ........ 119

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2009 -2011 წწ. ........ 126

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ სოფლის მეურნებობის სამინისტრო131

ფოკუსირებული დისკუსიების შედეგები........ 137

რეკომენდაციები ........ 139

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება........ 139

არასრულყოფილი პასუხების თავიდან აცილება ........ 144

საჯარო ინფორამციის გაცემა ვადების დაცვით........ 145

იგნორირებული და უარყოფილი საკითხები ........ 146

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სტატისტიკური კვლევა

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) პროექტის - **"საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკის კვლევა"** ფარგლებში განხორციელებულ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტატისტიკურ ანალიზს.
პროექტი "საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკის კვლევა" IDFI-მ განახორციელა (2012 წლის მარტი-მაისი) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითრების სააგენტოს (USAID) პროგრამის **„დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G-3)"** მხარდაჭერით.
პროექტი მიზნად ისახავდა ადმინისტრაციული ორგანოების (**საქართველოს იუსტიციის სამინსიტრო, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საქართველოს კონტროლის პალატა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა**) გამჭვირვალობისა და ეფექტიანი მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევის და ამ სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის გზით.

სამიზნე საჯარო დაწესებულებების მიერ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების სტატისტიკური ანალიზისათვის, ინფორმაციის თავისუფლების ფანვითარების ინსტიტუტმა პირველ რიგში გამოიყენა საკუთარ მონაცემთა ბაზები. 2010-2011 წლებში IDFI-ი კვლევის სამიზნე დაწესებულებებიდან რეგულარულად ითხოვდა საჯარო ინფორმაციას. ამავე დროს სრულყოფილი კვლევის ჩატარების მიზნით IDFI-იმ აღნიშნული სახელმწიფო ინსტიტუტებიდან გამოითხოვა 2009-2012 წლების განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით შესული განცხადებები და მათზე გაცემული პასუხები. აგრეთვე გამოთხოვილი იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად დაწესებულებების მიერ შედგენილი და საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაგზავნილი ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის 2009, 2010 და 2011 წლების ანგარიშები (ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშები).

ანალიზის შედეგად შედგა **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს კონტროლის პალატის, საჯარო სამსახურის ბიუროს, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სააგენტო), აჭარის ა/რ მთავრობის, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს**, მიერ ბოლო წლებში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების სტატისტიკური ანალიზი.

ამავე დროს, აღნიშნული საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აინტერესებს საზოგადოებას სამიზნე საჯარო დაწესებულებების საქმიანობიდან გამომდინარე. შესაბამისად ყველაზე მოთხოვნადი საჯარო ინფორმაციის დადგენით, შესაძლებელი გახდა იმ საკითხთა ჩამონათვალის განსაზღვრა, რომლებიც რეკომენდირებული იქნება პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე ადმინისტრაციული ორგანოების პასუხების ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ის ხარვეზები, რომლებიც აბრკოლებენ სამიზნე საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალე და მოქალაქეების ინტერესებზე გათვალისწინებულ საქმიანობას.

# კვლევის მეთოდოლოგია

## ანალიზის აღწერა

ზემოთაღნიშნული მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში გაანალიზებულ იქნა 2009-2010-2011 წლებში (და ზოგ შემთხვევაში ასევე 2012) საქართველოს 9 საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა განცხადებები. კვლევამ მოცვა როგორც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში გაგზავნილი, ისე სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ გაგზავნილი განცხადებები, რომლებიც თავად აღნიშნული საჯარო დაწესებულებების მიერ იქნა მოწოდებული.

## მეთოდები

ანალიზი მოიცავს სტატისტიკურ და თვისობრივ კომპონენტებს. სტატისტიკურად დაითვალა მოცემული წლების განმავლობაში მიღებული მოთხოვნების რაოდენობა, საკითხების აქტუალობა, ვადების დაცვით/დარღვევით გაცემული პასუხების რაოდენობა. შინაარსობრივად გაანალიზდა თითოეულ მოთხოვნაზე საჯარო დაწესებულების მიერ გაცემული პასუხი, იმ მიზნით, რომ დაგვედგინა პასუხის მოთხოვნასთან შესაბამისობა. ამ კუთხით გამოყოფილ იქნა ოთხი ძირითადი კატეგორია: სრულყოფილი პასუხი, არასრულყოფილი პასუხი, უარი და იგნორირება (აღნიშნული შეფასების სისტემა რამდენიმე წლის მანძილზეა აპრობირებული ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ პროექტის -„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა" ფარგლებში).

პასუხის კატეგორიების განსაღვრა დამოკიდებულია: ა) განცხადების შინაარსზე; ბ) გაცემულ პასუხზე; გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებსა და შეზღუდვებზე. ამ ყოველივეს გათვალისწინების შემდეგ, თუ ინფორმაცია სრულად პასუხობს მოთხოვნას (მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების ფორმის ჩათვლით), ის მიიჩნევა სრულყოფილად; ნაწილობრივ დაკმაყოფილებული პასუხი - არასრულყოფილად; თუკი წერილში განმარტებულია ინფორმაციის არ გაცემის საფუძვლები - დასაბუთებულ უარად; ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პასუხად გაგზავნილ წერილში საერთოდ არ არის ნახსენები განცხადების თანახმად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია - იგნორირებად. ამ კატეგორიების მიხედვით გადანაწილებული პასუხები ასევე დაჯგუფდა: წლების, აქტუალობის, ვადების დაცვის მიხედვით.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ სტატისტიკური კვლევის პროცესში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ერთ კონკრეტულ განცხადებებში ჩამოთვლილი სხვადასხვა მოთხოვნები (საკითხები) განცალკევებულ მოთხოვნებად იქნა მიჩნეული.

# პროექტის სამიზნე საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების ანალიზი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში სზაკ-ი) 49-ე მუხლის თანახმად საჯარო სდაწესებულება ვალდებულია მოამზადოს საჯარო ინფორმაციის გაცემის ანაგარიშები და წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგინოს ისინი საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს. ანგარიშის შინაარსი განსაზღვრულია სზაკის 49-ე მუხლით. მასში უნდა აისახოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რიცხვი, მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა, იმ პირის ვინაობა ვინც აღნიშნულ გადაწყვეტილებებს იღებს, ინფორმაცია იმ სამართლებრივი აქტების შესახებ, რომლითაც დაწესებულება გადაწყვეტილების მიღების პროცესშიხელმძღვანელობს,

**სზაკ-ის 49 მუხლი. ანგარიშის წარდგენა**
ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს:

ა) *საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;*
**ბ)** *მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;*
**გ)** *საჯარო მონაცემთა ბაზების;*
**დ)** *საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.*
**ე)** *იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;*
**ვ)** *საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;*
**ზ)** *საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.*

ასევე მონაცემები ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის, უარის გასაჩივრების ხარჯებისა და სასამართლო სახდელების შესახებ.

სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენა შესაძლებელს ხდის და აადვილებს არამარტო ხელისუფლების მხრიდან (საქართველოს პარლამენტი და საქართველოს პრეზიდენტი), არამედ საზოგადოების მხრიდანაც, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონტროლს. პროექტის ფარგლებში „ინფორმაციის თავისუფლების

განვითარების ინსტიტუტმა“ 49-ე მუხლის მოთხოვნების შესრულების შესწავლის მიზნით 9 სამიზნე საჯარო დაწესებულებიდან (იუსტიციის სამინისტრო, აჭარის მთავრობა და აჭარის სამინისტროები, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონტროლის პალატა, საჯარო სამსახური ბიურო) გამოითხოვა 2009, 2010 და 2011 წლებში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაგზავნილი 10 დეკემბრის ანგარიშები. სამწუხაროდ სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოდან აღნიშნული ინფორმაცია ვერ მივიღეთ.

## საჯარო სამსახურის ბიურო

საჯარო სამსახურის ბიუროს წერილებიდან ირკვევა, რომ საჯარო დაწესებულებამ 2009, 2010 და 2011 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშები მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინა, რაც კანონით დადგენილი ნორმის დარღვევაა. საჯარო დაწესებულება სზაკ-ის 49-ე მუხლის თანახმად ანგარიშვალდებულია როგორც აღმარულებელი ისე საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე. ანგარიშები საჯარო სამასახურის ბიუროს მიერ წარდგენილ იქნა ვადის დაცვით. წერილები დათარიღებულია 7, 9 და 10 დეკემბრით.

2009 წელს პრეზიდენტისადმი გაგზავნილ ანგარიშში მოცემული ინფორმაციით საჯარო სმასახურის ბიუროში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ 465 განცხადება შევიდა, აქედან დაკმაყოფილდა 460, არ დაკმაყოფილდა 2 მოთხოვნა, 3 განცხადება ანგარიშის წარდგენის დროისთვის დამუშავების პროცესში იყო. ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემისთვის გაწეული ხარჯების შესახებ, არ არის აღნიშნული გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობა და არც უარის თქმის საფუძველია განმარტებული, კერძოდ არ არის მითითებული ის საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც დაწესებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას დაეყრდნო. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ ქონდა თუ არა ადგილი უარის გასაჩივრების ფაქტს.

წერილში აღნიშნულია, რომ 2009 წელს საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე 33 მოთხოვნა დაფიქსირდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილების მიმღები პირის ვინაობა უცნობია.

რაც შეეხება სზაკ-ის 49-ე მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების შენახვისა და სხვისთვის გადაცემის“ შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროს ანგარიშში ნათქვამია რომ ბიურო რეგულარულად, ყოველ კვარტალში ახორციელებს ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშვებას, მაგრამ არ არის მოცემული დამუშავებული ინფორმაციის რაოდენობა.

ნათლად ჩანს, რომ ანგარიშში მოყვანილი მონაცემები ნაკლებად ასახავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეალურ სურათს და სამწუხაროდ მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა.

ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს კიდევ უფრო ამყარებს ის ფაქტი, რომ არც მომდევნო წლებში წარდგენილ ანგარიშებში ხდება არსებული ხარვეზების გამოსწორება და კანონთან შეუსაბამობის აღმოფხვრა. ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ 2010-2011 წლებშიც მხოლოდ პრეზიდენტს გაეგზავნა. წერილის თანახმად 2010 წელს საჯარო სამსახურის ბიუროში შესული 45 განაცხადიდან ყველა დაკმაყოფილდა. 2011 წელს 43 განცხადებიდან ორმოცდასამივე.

მოთხოვნების რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდა დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნის შედეგად, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული ვერსიის მოძიება.

2010-2011 წლებში არ დაფიქსირებულა ინფორმაციაში შესწორების შეტანის არც-ერთი მოთხოვნა, უარის თქმის და გასაჩივრების, არც პერსონალურ მონაცემთა სხვისთვის გადაცემის არც-ერთი ფაქტი. აქედან გამომდინარე არ გახდა საჭირო სზაკ - ის სხვა პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების ანგარიშში ასახვა. თუმცა ამჯერადაც არ არის მოცემული ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღებ პირზე და ბიუროს მიერ საჯარო სამსახურში დასაქმებულ მოასამსახურეთა შესახებ დამუშავებული მონაცემების რაოდენობაზე. არ არის მონაცემები საჯარო მონაცემთა ბაზების დამუშავებაზე და სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის გამო დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევების შესახებ.

## საქართველოს კონტროლის პალატა

შედარებით სრულყოფილი და ინფორმაციულია საქართველოს კონტროლის პალატის 10 დეკემბრის ანგარიშები, თუმცა კანონის ზოგიერთი პუნქტი ამ შემთხვევაშიც არ არის შესრულებული.

კონტროლის პალატის მიერ 2009-2011 წლებში საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილ ანგარიშებში სზაკ-ის 49 მუხლის თანახმად მოცემულია დაწესებულებაში შესული მოთხოვნების, განაცხადების დაკმაყოფილებისა და უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა, აღნიშნულია გაცემული ინფორმაციის მოცულობა (ფურცლების რაოდენობა), მაგრამ არ არის ასახული ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯები. არ არის მოცემული ინფორმაცია სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის გამო დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევების შესახებ.

წერილებში მითითებულია მხოლოდ იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც ინფორმაციის გაცემის გადაწყვეტილება მიიღეს, ხოლო უარისა და ინფორმაციაში შესწორების შეტანის შემთხვევებში გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობა წერილში

აღნიშნული არ არის. ანგარიშში არც უარის გასაჩივრებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე არის ინფორმაცია. დასაბუთებულია უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, თუმცა, არც ერთი მოყვანილი არგუმენტი არ არის გამყარებული შესაბამისი სამართლებრივი აქტებით. ამავე დროს ყველა დასახელებული არგუმენტი ვერ ჩაითვლება სამართლებრივი საფუძვლის მქონედ, მაგალითად ინფორმაციის არ გაცემა იმ მიზეზით, რომ მოთხოვნილი მონაცემები ვებ-გვერდზეა განთავსებული.

კონტროლის პალატის ანგარიშებში 49-ე მუხლის „გ" პუნქტის შესაბამისად მოცემულია შეგროვებული და დამუშავებული პერსონალური მონაცემების რაოდენობა და ასევე საჯარო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი. მიღებული ინფორმაციიდან არ ირკვევა მოხდა თუ არა ანგარიშების წარდგენა ვადის დაცვით.

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სამინისტროს ანგარიშში მოცემულია ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული წერილებისა და მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და უარის თქმის თობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა. დასახელებულია გადაწყვეტილების მიმღები პირების ვინაობა, აღწერილია იმ მოთხოვნების შინაარსი, რომლებიც არ დაკმაყოფილდა და დეტალურადაა განმარტებული უარის სამართლებრივი საფუძველი. იუსტიციის სამინისტროს წერილებში ამომწურავი ინფორმაციაა მოცემული უარის გასაჩივრების შემთხვევებზე, თუმცა, არაფერია ნათქვამი ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის, ასევე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ხარჯებზე.

იუსტიციის სამინისტროს ანგარიშში არ ჩანს ქონდა თუ არა ადგილი საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნებს. ასევე არ არის ინფორმაცია დაწესებულების მიერ საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ; რაც შეეხება დისციპლინური სახდელების დადებას, წერილების თანახმად 2009 -2011 წლებში ასეთი შემთხვევები არ გამოვლენილა.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ პარლამენტსა და პრეზიდენტსათვის წარდგენილი ანგარიშებში სზაკ-ის 49 მუხლის თანახმად მოცემულია დაწესებულებაში შესული მოთხოვნებისა და განაცხადის დაკმაყოფილებისა და უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა. მითითებულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა. მოყვანილია საკანონმდებლო აქტები, რომლებზე დაყრდნობითაც ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ინფორმაციის გაცემის ან მონაცემებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გადაწყვეტილებას იღებს. ანგარიშის თანახმად აჭარის მთავრობამ 2009-2011 წლებში ერთის გარდა ინფორმაციის გაცემის ყველა მოთხოვნა

დააკმაყოფილა. წერილში არ არის მოცემული საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ღირებულება; ანგარიშში ასევე არ არის ინფორმაცია საჯარო მონაცემთა ბაზებისა დამუშავების შესახებ.

აჭარის მთავრობის წერილიდან ირკვევა, რომ სამი საანგარიშო წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნებს, არ ყოფილა სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დაკისრების შემთხვევა, არ დაფიქსირებულა პერსონალური ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის არცერთი ფაქტი.

## აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ანგარიშშიც არ არის ასახული ინფორმაციის დამუშავება-გაცემის ხარჯები, უცნობია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა. სამინისტროს ანგარიშში მხოლოდ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობაა მითითებული; ანგარიშებში არ არის მოცემული ინფორმაცია შეგროვებული და დამუშავებული პერსონალური მონაცემებისა და საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ.

წერილის თანახმად 2009-2011 წლებში აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ყველა მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული. არ დაფიქსირებულა საჯარო მოსამსახურეების მხრიდან კოდექსის დარღვევის შემთხვევები. სამინისტროსთვის არ მიუმართავთ საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით;

## აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

რაც შეეხება აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშებს, სზაკ-ის 49-ე მუხლში მოყვანილი შვიდი პუნქტიდან, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ანგარიშის შედგენა, მხოლოდ ორი მუხლია გათვლისწინებული. კერძოდ შესულია განცხადებების რაოდენობა და ინფორმაცია განცხადებებში შესწორების შეტანის შესახებ. ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯებზე და სხვა დანარჩენ საკითხებზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილებში ინფორმაცია მოცემული არ არის.

## აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სამიზნე საჯარო უწყებებიდან მხოლოდ ორ დაწესებულების - აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

ანგარიშებშია მოცემული ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ღირებულების შესახებ.

აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ანგარიშში დეტალურადაა განმარტებული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები (საგულისხმოა რომ შვიდიდან სამ შემთხვევაში ინფორმაცია არ გაიცა მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო). სამინისტროს წერილში არ არის ინფორმაცია საჯარო მონაცემთა ბაზების, პირადი მონაცემების დამუშავებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ან უარის თქმაზე გადაწყვეტილების მიმღები პირის შესახებ.

## აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ყველაზე სრულყოფილად სზაკ-ის მოთხოვნებს აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ანგარიში პასუხობს. წერილი 49-ე მუხლის ყველა პუნქტის გათვალისწინებითაა შედგენილი. ერთადერთი საკითხი, რომელზეც სამინისტროს ანგარიშში ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, საჯარო მონაცემთა ბაზების დამუშავების საკითხია.

## დასკვნა

ანალიზის შედეგად ჩანს, რომ საჯარო დაწესებულებების უმეტესობა ნაკლებად თვალისწინებს სზაკ-ის 49-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს 10 დეკემბრის ანგარიშის შედგენისას. შეიძლება ითქვას რომ თითოეულ დაწესებულებას ანგარიშების შედგენის საკუთარი სტანდარტი აქვს. ერთი საჯარო უწყების მიერ სამივე წელს წარდგენილი ანგარიში ერთმანეთის მსგავსია. შერჩეულია გარკვეული პუნქტები რომლებზეც სტანდარტული პასუხებია გაცემული.

სზაკის 49-ე პუნქტით გათვალისწინებული 7 პუნქტიდან მხოლოდ ორი პუნქტია ისეთი, რომელზეც ინსტიტუტის მიერ შესწავლილ ყველა ანგარიშშია მოცემული ინფორმაცია - საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნების რაოდენობა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნის შეტანის საკითხი.

2009-2011 წლის ანგარიშების შედარებამ აჩვენა რომ წლიდან წლამდე ძირითადად მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის რაოდენობრივი მონაცემები იცვლება და არ ხდება არსებული ხარვეზების გამოსწორება. ანგარიშებში ასახული მონაცემები უმეტეს შემთხვევაში არასრულყოფილია, არ შეესაბამება სზაკ-ის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე ნაკლებად ასახავს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ რეალურ ვითარებას.

რჩება შთაბეჭდილება, რომ საჯარო დაწესებულებების მხრიდან ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ანგარიშების წარდგენას მხოლოდ ფორმალური სახე აქვს და არ ხდება ზემდგომი დაწესებულებებისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება. სამწუხაროდ მაკონტროლებელი ორგანოებიც ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან აღნიშნულ საკითხს, რადგან არც

პრეზიდენტის ადმინისტრაცია და არც პარლამენტი არ ახდენს შესაბამის რეაგირებას არასრულყოფილად შედგენილ ანგარიშებზე, არ ხდება მათი შესწავლა და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა .

ვფიქრობთ, რომ პრობლემის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი ანგარიშის სტანდარტიზირებული ფორმის არ არსებობაა, გამოსავალი კი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ ამგავარი ფორმის დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემა შეიძლება იყოს.

## რეკომენდაცია:

საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ ნორმატიულ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამტკიცდეს 10 დეკემბრის ანგარიშის ფორმა.

## ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

## საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად

## განსაზღვრული ანგარიშის ფორმა

საქართველოს პრეზიდენტს / საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ / ქალბატონ

საჯარო დაწესებულების [ ] სახელწოდება

**ა. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ**

| საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა | დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) | ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯები |
|---|---|---|---|
| | | | |

ბ. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების არ დაკმაყოფილების შესახებ

| არ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა | უარის თქმის საფუძველები (შესაბამისი საკანონმდებლო აქტები) | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) | გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები | მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

გ. მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ

| საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობა | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) |
|---|---|
| | |

დ. მონაცემები საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ

| საჯარო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი | საჯარო მონაცემთა ბაზების აღწერილობა |
|---|---|
| | |

**ე. მონაცემები კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ**

| კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა | სხდომის დახურვის საფუძველი - შესაბამისი საკანონმდებლო აქტები | გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები | მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახდელი თანხის ოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |

**ვ. მონაცემები საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ**

| საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობა | დარღვევებზე პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების რაოდენობა |
|---|---|
| | |

ხელმოწერა: თარიღი:

## იუსტიციის სამინისტრო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2011 წწ.

2009-2011 წლების მანძილზე იუსტიციის სამინისტროს სულ 277 საკითხზე მიმართეს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. მოთხოვნების აქტუალობა ყველაზე დიდი იყო 2009 წელს, მოთხოვნების რაოდენობა საკმაოდ შემცირდა 2010 წელს, ხოლო 2011 წელს ისევ გაიზარდა.




ყველაზე მეტი მოთხოვნა ეხებოდა სამართლებრივ აქტებს - 137 მოთხოვნა 277-დან. ამ საკითხის აქტუალობა ყველაზე დიდი იყო 2009 წელს. საჯარო ინფორმაციას სხვადასხვა სმართლებრივი აქტებისა ან კანონმდებლობაში შესულ ცვლილებების შესახებ უმეტესწილად მოქალაქეები ითხოვენ.




სამართლებრივი აქტების გარდა ბევრი იყო საკონსულტაციო სახის შეკითხვები, რომლებიც მართალია არ მიეკუთვნება საჯარო ინფორამციის კატეგორიას, მაინც აქტუალურია მოსახლეობისათვის. ამას გარდა ბევრი იყო ისეთი მოთხოვნა, რომელთა ერთ საერთო

კატეგორიაში მიკუთვნება რთულია, მაგ. ინფორმაცია სააღსრულებო ბიუროს ბეჭდის შესახებ, ინფორმაცია ნარკოტიკების ზედოზირებული მოხმარების შედეგად გარდაცვლილ პირთა შესახებ და ა.შ. ასეთი მოთხოვნები ყველაზე მეტი იყო 2009 და ასევე 2011 წლებში. აქტუალობის თვალსაზრისით ხშირი აგრეთვე ავტოპარკის, ხელფასებისა და დანამატების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებების რიცხვი.




გაცემული პასუხების უმეტესობა, ანუ 83%, შინაარსობრივი თვალსაზრისით სრულად პასუხობდა მოთხოვნებს. 19 შემთხვევაში (სულ საკითხების 7%) გაცემული პასუხი ნაწილობრივ სრულყოფილი იყო, ხოლო 13-13 შემთხვევაში (5-5%) დაფიქსირდა უარი და იგნორირება.




რაც შეეხება კატეგორიების მიხედვით განაწილებას, ყველაზე აქტუალური კატეგორიის, სამართლებრივი აქტების შემთხვევაში გაცემული პასუხების უმეტესობა სრულყოფილია. სხვადასხვა სამართლებრივ აქტებზე ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროდან ძირითადად მოქალაქეები ითხოვენ. შეკითხვების შინაარსი ფართო დიაპაზონით გამოირჩევა. მაგ. შეეხება იმ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც უძრავი ქონების, მიწის ფართობების თუ ბინების საკუთრების უფლების, პრივატიზებისა და რეგისტრაციის სკითხებს აწესრიგებს, ასევე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, მშენებლობის ლეგალიზაციას, უძრავი ქონების განკარგვის უფლებას და დაყადაღების წესს შეეხება.

მოქალაქეები ითხოვენ ასევე სხვადასხვა კანონპროექტების ასლებს მაგ., კერძო არბიტრაჟის შესახებ, სანოტარო ქმედებათა შესრულების წესის შესახებ, საჯარო დაწესებულებების წესდებებს და დებულებებს. სხვადასხვა არასმთავრობო ორგანიზაციები, ადვოკატები და ასევე მოქალაქეები ითხოვენ პრეზიდენტისა და მინისტრების გამოცემული განკარგულებებისა და ბრძანებულებების ასლებს, სამოქალაქო კოდექსში და სხვადასხვა კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ინფორმაციას, ასევე მინისტრების ბრძანებულებების/ დადგენილებების ძალაში ყოფნის და ნორმატიული აქტების რეგისტრაციის შესახებ მონაცემებს. მოთხოვნილი ინფორმაცია შეეხება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ კანონს, სასამართლო დადგენილებებს საქართველოს წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოებში აღძრულ საქმეებთან დაკავშირებით. რამდენიმე მოთხოვნა შეეხება საქართველოს სსრკ მინისტრთა საბჭოს და სხვა ორგანოების გამოცემულ დადგენილებებს.




ხშირია საკონსულტაციო ხასიათის შეკითხვებიც, რომლებიც ეხება ლიცენზიების მიღების საკითხებს, უძრავი ქონების დაყადაღების და შეძენის პირობებს, თუ რა საბუთები უნდა იქნეს წარდგენილი საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყებისას, საექსპერტო დასკვნების გაკეთების უფლებამოსილებას, ითხოვენ ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოს კანონით ნებადართულია ქორწინება ქალსა და მამაკაცს შორის,  განმარტებას ნასამართლეობის გაქარწყლების შესახებ.

იუსტიციის სამინისტროს მიმართავენ ასევე სასამართლო გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მოქალაქეები,  ითხოვენ სხვადასხვა განკარგულების გამოცემასაც, ხშირია ისეთი საკონსულტაციო შეკითხვები, რომლებიც სცილდება სამინისტროს კომპეტენციას მაგალითად საჭიროა თუ არა იურიდიული დოკუმენტები ინტერნეტ-გვერდის დასარეგისტრირებლად ან რამდენად ობიექტურია კონკრეტულ შემთხვევებში საექსპეტო დასკვნები და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნული ფაქტორისა, იუსტიციის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები არ არიდებდნენ თავს პასუხების გაცემას, რაც აუცილებლად პოზიტიურ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

ნაწილობრივ დაკმაყოფილებული პასუხების შინაარსი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ბიუჯეტის შემთხვევაში არ იყო მოწოდებული ბიუჯეტის დეტალური ბალანსი; გამოთხოვილი იყო მხოლოდ მეორე კვარტალის მონაცემები, ხოლო მოწოდებულ ინფორმაციაში არ არის მითითებული, რომელი ხარჯები განხორციელდა მეორე კვარტალში;
- სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემთხვევაში ინფორმაციის მოწოდების ნაცვლად გადამისამართებაა სხვა დაწესებულებაში;
- თანამდებობის პირების სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ არ იყო მოწოდებული დეტალური ინფორმაცია თანამშრომლებისა და მინისტრის შესახებ (ცალ-ცალკე), მოწოდებული იყო მხოლოდ სრული ხარჯი. არ იყო მითითებული მობილური ტელეფონებით საუბარზე დახარჯული თანხები;

- ცენტრალური აპარატის (ადმინისტრაციის) სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ არ იყო ცალ-ცალკე მოწოდებული ინფორმაცია მობილური ოპერატორების, საერთაშორისო და ლოკალური ზარების შესახებ;
- თანამდებობის პირების სამივლინებო ხარჯების შესახებ არ იყო მოწოდებული სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სამივლინებო ხარჯები;
- თანამდებობის პირების ავტომანქანების მომსახურებაზე დახარჯული თანხების შესახებ მოცემული იყო ერთიანი სისტემის ხარჯები, არ იყო გამოყოფილი თანამდებობის პირთა მიერ გაწეული ხარჯები;
- არ იყო მოწოდებული ინფორმაცია მინისტრსა და მის მოადგილეებზე გაცემული ხელფასების ოდენობის შესახებ და არ იყო დაკონკრეტებული რომელი კვარტლის ხარჯებს ეხებოდა ინფორმაცია.
- საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შემცველი სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტების შემთხვევაში მოცემული იყო მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესული და დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა, არ იყო მოწოდებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით);



ინფორმაციის გაცემაზე უარი შემდეგი მიზეზების გამო ითქვა:

- თანამდებობის პირების მიერ გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების, თანამდებობის პირების სამივლინებო ხარჯების, თანამდებობის პირების ავტომანქანების ჩამონათვალის, თანამდებობის პირებზე ავტომანქანების პერსონალური გადანაწილების, თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯის, თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპის, თანამდებობის პირების ავტომანქანების მომსახურებაზე გაწეული ხარჯების, თანამდებობის პირების ხელფასების, დანამატების და პრემიების შესახებ ნათქვამი იყო, რომ სრული სისტემის თანამშრომლებისგან განცალკევებით თანამდებობის პირების მიერ ბიუჯეტიდან გახარჯული საერთო თანხების ოდენობას არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. ამას გარდა, სამინისტრო არ გამოყოფს თანამდებობის პირებზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასს, დანამატს, პრემიას, საწვავის ლიმიტს, სატალეკომუნიკაციო თანხას და სხვ. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაამუშაოს, შექმნას და შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებულად. შესაბამისად, სამინისტრომ გამოაგზავნა ინფორმაცია მხოლოდ სრული სისტემის ხარჯების შესახებ.

რაც შეეხება უპასუხო საკითხებს, სამინისტროს მხრიდან რეაგირება არ ჰქონია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს ისეთ თემებზე, როგორიცაა სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, საჯარო დაწესებულების ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ღირებულება, ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების თანამდებობებზე პერსონალური გადანაწილება, ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) საწვავის მოხმარების ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი და საწვავის ტიპი, ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ, განხორციელებულ პროექტებზე დახარჯული თანხების რაოდენობა, განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანამანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი, განხორციელებულ ღონისძიებებზე დახარჯული თანხის რაოდენობა.

პოზიტიურია ის ფაქტი, რომ საჯარო ინფორმაცია შემთხვევების 99%-ში ვადების დაცვით იყო გაცემული, და მხოლოდ 3 შემთხვევა იყო ისეთი, როდესაც კანონმდებლობით დადგენილი 10-დღიანი ვადა დაირღვა. აქედან ორი შემთხვევა ეხებოდა სამართლებრივ აქტებს, ხოლო ერთი - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციას.



ინფორმაციის მოწოდების ვადები
3
1%
248
99%
ვადების დაცვა
ვადების დარღვევა

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: იუსტიციის სამინისტრო

| იუსტიციის სამინისტრო | | |
|---|---|---|
| **მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია** | **მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია** | **კომენტარი** |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | 02.05.2011 წერილის პასუხში: არ არის მოწოდებული ბიუჯეტის დეტალური ბალანსი. 12.09.2011 წერილის პასუხში: გამოთხოვილი იყო მხოლოდ მეორე კვარტალის ინფორმაცია. მოწოდებულ ინფორმაციაში არ არის მითითებული, რომელი ხარჯები განხორციელდა მეორე კვარტალში (არის 6 თვის ჯამი). |
| | 1.2. ბიუჯეტის ცვლილებები | |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ | 12.09.2011 წერილის პასუხში: ინფორმაციის მოწოდების ნაცვლად გადამისამართება სხვა დაწესებულებაში. |
| | 2.2. გამოყოფილი თანხების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი. | 12.09.2011 წერილის პასუხში: ინფორმაციის მოწოდების ნაცვლად გადამისამართება სხვა დაწესებულებაში. |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი | |
| | 3.2. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) | |
| | 4.2. თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 4.3.შესყიდვების ხელშეკრულებების ასლები | | |
| | 4.4. ინფორმაცია საოფისე ინვენტარის და სარემონტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ | | |
| **5. ტელეკომუნიკაცია** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | არ არის მოწოდებული დეტალური ინფორმაცია თანამშრომლებისა და მინისტრის შესახებ (ცალ-ცალკე), მოწოდებულია მხოლოდ სრული ხარჯი. არ არის მითითებული მობილური ტელეფონებით საუბარზე დახარჯული თანხები. | 12.09.2011 წერილის პასუხში: ნათქვამია, რომ სრული სისტემის თანამშრომლებისგან განცალკევებით თანამდებობის პირების მიერ ბიუჯეტიდან გახარჯული საერთო თანხების ოდენობას არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. ამას გარდა, სამინისტრო არ გამოყოფს თანამდებობის პირებზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასს, დანამატს, პრემიას, საწვავის ლიმიტს, სატალეკომუნიკაციო თანხას და სხვ. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაამუშაოს, შექმნას და შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებულად. შესაბამისად, სამინისტრომ მოგვაწოდა მხოლოდ ერთიანი ციფრი. |
| | 5.2. თანამშრომლების/სრული სისტემის სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | 2010 წლის პასუხში: არ არის მოწოდებული დეტალური ინფორმაცია თანამშრომლებისა და მინისტრის შესახებ (ცალ-ცალკე), მოწოდებულია მხოლოდ სრული ხარჯი. არ არის მითითებული მობილური ტელეფონებით საუბარზე დახარჯული თანხები. 2011 წლის პასუხში: სრული სისტემის ნაცვლად მოწოდებულია ინფორმაცია მხოლოდ ცენტრალური აპარატისა და მთავარი პროკურატურის შესახებ. 12.09.2011 წერილის პასუხში: მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ ცენტრალური აპარატისა და მთავარი პროკურატურის შესახებ. არ არის გამოყოფილი მობილურ ოპერატორებზე, საერთაშორისო და ლოკალურ ზარებზე დახარჯული თანხები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 5.3. სამინისტროს თანამშრომელთა მობილური ტელეფონებისა და ავტომანქანების შესყიდვაზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა. | | |
| | 5.4. ცენტრალური აპარატის (ადმინისტრაციის) თანამშრომლების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯები. | არ არის ცალ-ცალკე ინფორმაცია მობილური ოპერატორების, საერთაშორისო და ლოკალური ზარების შესახებ. | |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ (მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) ხელმძღვანელი პირები) ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | 2009 წლის მონაცემების შემთხვევაში: არ არის მოწოდებული სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სამივლინებო ხარჯები ცალკე; 2010 წლის მონაცემების შემთხვევაში: არ არის თანამდებობის პირებზე განაწილება; მოცემულია ცენტრალური აპარატის ერთიანი ხარჯი. | 2011 წელი: თანხების ოდენობას არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. ამას გარდა, სამინისტრო არ გამოყოფს თანამდებობის პირებზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასს, დანამატს, პრემიას, საწვავის ლიმიტს, სატალეკომუნიკაციო თანხას და სხვ. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაამუშაოს, შექმნას და შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებულად. შესაბამისად, სამინისტრომ მოგვაწოდა მხოლოდ ერთიანი ციფრი. |

| | | |
|---|---|---|
| | 6.2. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამდებობის პირთა (ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეთა) ოფიციალურ და სამუშაო, მათ შორის საერთაშორისო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯები. | |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი | 12.09.2011 წერილის პასუხში ნათქვამია, რომ სრული სისტემის თანამშრომლებისგან განცალკევებით თანამდებობის პირების მიერ ბიუჯეტიდან გახარჯული საერთო თანხების ოდენობას არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. ამას გარდა, სამინისტრო არ გამოყოფს თანამდებობის პირებზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასს, დანამატს, პრემიას, საწვავის ლიმიტს, სატალეკომუნიკაციო თანხას და სხვ. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაამუშაოს, შექმნას და შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებულად. შესაბამისად, სამინისტრომ მოგვაწოდა მხოლოდ ერთიანი ციფრი. |
| | 7.2. თანამდებობის პირებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება. | 12.09.2011 წერილის პასუხში: წერილში ნათქვამია, რომ სრული სისტემის თანამშრომლებისგან განცალკევებით თანამდებობის პირების მიერ ბიუჯეტიდან გახარჯული საერთო თანხების ოდენობას არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. ამას გარდა, სამინისტრო არ გამოყოფს თანამდებობის პირებზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასს, დანამატს, პრემიას, საწვავის ლიმიტს, სატალეკომუნიკაციო თანხას და სხვ. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაამუშაოს, შექმნას და შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებულად. შესაბამისად, სამინისტრომ მოგვაწოდა მხოლოდ ერთიანი ციფრი. |

| | | |
|---|---|---|
| | 7.3. თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯი. | 12.09.2011 წერილის პასუხში: ნათქვამია, რომ სრული სისტემის თანამშრომლებისგან განცალკევებით თანამდებობის პირების მიერ ბიუჯეტიდან გახარჯული საერთო თანხების ოდენობას არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. ამას გარდა, სამინისტრო არ გამოყოფს თანამდებობის პირებზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასს, დანამატს, პრემიას, საწვავის ლიმიტს, სატელეკომუნიკაციო თანხას და სხვ. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაამუშაოს, შექმნას და შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებულად. შესაბამისად, სამინისტრომ მოგვაწოდა მხოლოდ ერთიანი ციფრი. |
| | 7.4. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი. | 12.09.2011 წერილის პასუხში ნათქვამია, რომ სრული სისტემის თანამშრომლებისგან განცალკევებით თანამდებობის პირების მიერ ბიუჯეტიდან გახარჯული საერთო თანხების ოდენობას არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. ამას გარდა, სამინისტრო არ გამოყოფს თანამდებობის პირებზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასს, დანამატს, პრემიას, საწვავის ლიმიტს, სატელეკომუნიკაციო თანხას და სხვ. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაამუშაოს, შექმნას და შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებულად. შესაბამისად, სამინისტრომ მოგვაწოდა მხოლოდ ერთიანი ციფრი. |
| | 7.5. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული. | 12.09.2011 წერილის პასუხში: საწვავის მოხმარების ხარჯი სრული სისტემის ნაცვლად მოცემულია მხოლოდ ცენტრალური აპარატის შესახებ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 7.6. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | მოცემულია ერთიანი სისტემის ხარჯები, არ არის გამოყოფილი ცალ-ცალკე მინისტრი და თანამშრომლები. | 12.09.2011 წერილის პასუხში ნათქვამია, რომ სრული სისტემის თანამშრომლებისგან განცალკევებით თანამდებობის პირების მიერ ბიუჯეტიდან გახარჯული საერთო თანხების ოდენობას არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. ამას გარდა, სამინისტრო არ გამოყოფს თანამდებობის პირებზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასს, დანამატს, პრემიას, საწვავის ლიმიტს, სატალეკომუნიკაციო თანხას და სხვ. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაამუშაოს, შექმნას და შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებულად. შესაბამისად, სამინისტრომ გამოაგზავნა ინფორმაცია ყველა თანამშრომლის შესახებ. |
| | 7.7. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | | |
| | 7.8. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების თანამდებობებზე პერსონალური გადანაწილება (მათ შორის ავტომანქანის მოდელი) თანამდებობის პირებზე ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე. (2011: ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე). | | |
| | 7.9. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი | | |

| | | |
|---|---|---|
| | 7.10. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) საწვავის მოხმარების ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი და ტიპი. | |
| | 7.11. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | მოცემულია ხარჯი მხოლოდ ავტოტექმომსახურების შესახებ. არ არის დაკონკრეტებული შეკეთების, ცვეთის და ა.შ. ხარჯები. |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.2. შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.3. თანამშრომლების სია თანამდებობების მიხედვით. | |
| | 8.4. თანამდებობის პირების ჩამონათვალი და თანამდებობის სახელწოდება. | |
| **9. ხელფასები და დანამატები** | 9.1. თანამდებობის პირებზე (მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) ხელმძღვანელი პირები და მათი მოადგილეები) გაცემული დანამატების რაოდენობა. | 12.09.2011 წერილის პასუხში ნათქვამია, რომ სრული სისტემის თანამშრომლებისგან განცალკევებით თანამდებობის პირების მიერ ბიუჯეტიდან გახარჯული საერთო თანხების ოდენობას არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. ამას გარდა, სამინისტრო არ გამოყოფს თანამდებობის პირებზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასს, დანამატს, პრემიას, საწვავის ლიმიტს, სატალეკომუნიკაციო თანხას და სხვ. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაამუშაოს, შექმნას და შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებულად. შესაბამისად, სამინისტრომ გამოაგზავნა ინფორმაცია ყველა თანამშრომლის შესახებ. |
| | 9.2. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.3 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.4. თანამშრომლთა თანამდებობრივი სარგო. | |

| | | |
|---|---|---|
| | 9.5. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.6. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომლებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| **10. პრემიები** | 10.1 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | 12.09.2011 წერილის პასუხში: ნათქვამია, რომ სრული სისტემის თანამშრომლებისგან განცალკევებით თანამდებობის პირების მიერ ბიუჯეტიდან გახარჯული საერთო თანხების ოდენობას არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. ამას გარდა, სამინისტრო არ გამოყოფს თანამდებობის პირებზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასს, დანამატს, პრემიას, საწვავის ლიმიტს, სატალეკომუნიკაციო თანხას და სხვ. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაამუშაოს, შექმნას და შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისგან განცალკევებულად. შესაბამისად, სამინისტრომ გამოაგზავნა ინფორმაცია ყველა თანამშრომლის შესახებ. |
| | 10.2. სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| | 10.3. ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| **11. საჯარო ინფორმაცია** | 11.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე). | მოცემულია მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესული და დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა. არ არის მოწოდებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით). |

| | | | |
|---|---|---|---|
| **12. ვებ-გვერდი** | 12.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | | |
| **13. პროექტები** | 13.1. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | არ არის მითითებული პროექტების განხორციების პერიოდი. | პასუხში წერია, რომ გაურკვეველია, რომელ სფეროში განხორციელებული და რა სახის პროექტები და პროგრამები მოიაზრება განცხადებაში. |
| | 13.2. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | | |
| **14. ღონისძიებები** | 14.1. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანამანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | | |
| | 14.2. თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა. | | |
| **15. სამართლებრივი აქტები** | | სამინსტრომ მიიღო გადაწყვეტილება TI-ს განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რადგან დადგენილი ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული შესაბამის ვადაში. 2009 წელს უარი ეთქვა სიას ინფორმაციის მიწოდებაზე, კერძოდ განკარგულებაზე აუქციონზე შეძენილი ქონების უფლების გადაცემის თშესახებ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ "კანონის 19 მუხლის შესაბამისად. | 2010 წელს ინფორმაცია შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევებისა და დისციპლინური დევნის შესახებ საიას მიერ მოთხოვნილ იქნა 2-2ჯერ. 2011 წელს საიამ სამინისტროს გაუგზავნა იგივე შინაარსის 2 მოთხოვნა დისციპლინური გადაცდომების შესახებ. საჯარო ინფორმაციას სხვადასხვა სმართლებრივი აქტების ან კანონმდებლობაში შესულ ცვლილებების შესახებ უმეტესწილად მოქალაქეები ითხოვენ. |

| | | |
|---|---|---|
| **16. სხვა საჯარო ინფორმაცია** | 16.1. ინფორმაცია სამინისტროს მიერ დაფუძნებულიააიპების შესახებ. | |
| | 16.2. თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საკონტაქტო ინფორმაცია | |
| | 16.3. ინფორმაცია ნარკოტიკების ზედოზირებული მოხმარების შედეგად გარდაცვლილ პირთა შესახებ; | |
| | 16.4. ინფორმაცია პოლიტიკური გაერთიანებებისა და მათი ხელმძღვანელი პირების შესახებ; | |
| | 16.5. ინფორმაცია თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების შესახებ | |
| | 16.6. ინფორმაცია სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პაუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების შესახებ; | |
| | 16.7 პერსონალური ინფორმაცია | |
| | 16.8. ინფორმაცია სააღსრულებო ბიუროს 2011 წლის ბეჭდის შესახებ | |
| **17. საკონსულტაციო ხასიათის შეკითხვები** | | 2010 წელს მოქალაქეების მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია იყო საკონსულტაციო ხასიათის, ინფორმაცია ვერ გაიცა , რადგან მისი გაცემა ამინისტროს კომპეტენციას სცდებოდა. ხშირია ისეთი შეკითხვები, რომლებიც სცილდება სმინისტროს კომპეტენციას, არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და ვერ ხერხდება პასუხის გაცემა, ერთერთმა მოქალაქემ უარი განაცხადა წაეღო საპასუხო წერილი. |

## კონტროლის პალატა - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2011 წწ.

კონტროლის პალატის შემთხვევაში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში 2011 წელს გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე, რადგანაც კონტროლის პალატამ სხვა ორგანიზაციების/პირების მიერ გაგზავნილი მოთხოვნების ასლები ინსტიტუტს არ მიაწოდა. შესაბამისად, საკითხების აქტუალობა ამ შემთხვევაში ნაკლებად გამოკვეთილია.

2011 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა კონტროლის პალატას სულ 50 საკითხზე მიმართა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. აქტუალობის თვალსაზრისით ყველაზე მეტი მოთხოვნა ეხებოდა ავტოპარკს, ხელფასებსა და დანამატებს.



გაგზავნილი საკითხების უმეტესობაზე (34) სრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული, 12 შემთხვევაში პასუხი არასრულყოფილი იყო, 4 შემთხვევაში იგნორირებული, ხოლო უარი არც ერთ საკითხზე არ ყოფილა.




ნაწილობრივ დაკმაყოფილებული პასუხების მიზეზები შესაძლოა სხვადასხვა იყოს: არ იქნა მოწოდებული ბიუჯეტის დეტალური ბალანსი, სატელეკომუნიკაციო ხარჯებში არ იქნა მოცემული ინფორმაცია ლოკალურ და საერთაშორისო ზარებზე გაწეული ხარჯების შესახებ, არ იქნა მოწოდებული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო მონაცემები, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი და რეკვიზიტები. ამავე დროს, სახელმწიფო შესყიდვების და ღონისძიებების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაციის შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის მოწოდების ნაცვლად მოხდა ვებ-გვერდზე გადამისამართება. რაც შეეხება საკითხების ინგორირებას, ორ შემთხვევაში პასუხი არ იყო გაცემული მოთხოვნაზე სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ, ხოლო თითო-თითო შემთხვევა ეხებოდა ავტოპარკის ხარჯებსა და საჯარო ინფორმაციის რეესტრს.

აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე ის ფაქტი, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ 2012 წლის თებერვალში სრულყოფილად გასცა ინფორმაცია თანამდებობის პირთა პრემიების შესახებ, რაც ნამდვილად გამონაკლისი და მისასალმებელი შემთხვევაა საქართველოს საჯარო სივრცეში.


მოწოდებული ინფორმაცია ბლოკების მიხედვით
ბიუჯეტი
სარეზერვო ფონდები
უძრავი ქონება
სახელმწიფო შესყიდვები
ტელეკომუნიკაცია
მივლინებები
ავტოპარკი
შტატი
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე..
ხელფასები და დანამატები
პრემიები
საჯარო ინფორმაცია
საჯარო რეესტრი
ვებ-გვერდი
პროექტები
ღონისძიებები
სრულყოფილი
არასრულყოფილი
უარი
იგნორირება
0 1 2 3 4 5 6 7 8 9


ინფორმაციის მოწოდების ვადები
21
46%
25
54%
ვადების დაცვა
ვადების დარღვევა

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: კონტროლის პალატა

| კონტროლის პალატა | | |
|---|---|---|
| მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია | მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია | კომენტარი |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | 15.09.2011: არ იქნა მოწოდებული ბიუჯეტის დეტალური ბალანსი. |
| | 1.2. არასაბიუჯეტო შემოსავლები | |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ | |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი | |
| | 3.2. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) | გადამისამართებაა procurement.gov.ge-ზე. |
| **5. ტელეკომუნიკაცია** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | |

| | | |
|---|---|---|
| | 5.2. თანამშრომლების/სრული სისტემის სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | 31.05.2011: არ არის გამიჯნული ლოკალური და საერთაშორისო ზარები |
| | 5.3. თითოეული სამსახურის თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ (მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) ხელმძღვანელი პირები) ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | არ არის ინფორმაცია ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გაწეული ხარჯების შესახებ. |
| | 6.2. თანამდებობის პირთა (ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეთა) ოფიციალურ და სამუშაო, მათ შორის საერთაშორისო, ვიზიტებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი. | |

| | | |
|---|---|---|
| | 7.2. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული. | |
| | 7.3. სრული სისტემის მიერ მოხმარებული საწვავის ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი და საწვავის ტიპი. | |
| | 7.4. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | ინფორმაციის მოწოდების ნაცვლად გადამისამართებაა procurement.gov.ge-ზე. |
| | 7.5. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.6. სრული სისტემის (დაწესებულების) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პერსონალური გადანაწილება (მათ შორის ავტომანქანის მოდელი) თანამდებობის პირებზე ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე. | |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.2. შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.4. თანამდებობის პირების ჩამონათვალი და თანამდებობის სახელწოდება. | |

| | | |
|---|---|---|
| **9. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი** | 9.1. სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია. | საკონტაქტო ინფორმაცია არ არის მოწოდებული. |
| **10. ხელფასები და დანამატები** | 10.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 10.2. თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 10.3. სრულ სისტემაზე (თითოეული სამსახური) გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 10.4 სრულ სისტემაზე (თითოეული სამსახური) გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 10.5. თითოეული თანამშრომლის თანამდებობრივი სარგო. | |
| **11. პრემიები** | 11.1 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | |
| | 11.2. სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |

| | | |
|---|---|---|
| **12. საჯარო ინფორმაცია** | 12.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე). | 15.09.2011: არ არის მოწოდებული აქტების ჩამონათვალი და რეკვიზიტები. 31.05.2011: მოწოდებულია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რაოდენობა და გაცემული პასუხი (დაკმაყოფილდა თუ არა), ხოლო ჩამონათვალი არ არის მოწოდებული. |
| **13. საჯარო რეესტრი** | 13.1. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია. | |
| **14. ვებ-გვერდი** | 14.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | |
| **15. პროექტები** | 15.1. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | |
| | 15.2. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | |
| **16. ღონისძიებები** | 16.1. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანამანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | ინფორმაციის მოწოდების ნაცვლად გადამისამართებაა procurement.gov.ge-ზე. |
| | 16.2. თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა. | ინფორმაციის მოწოდების ნაცვლად გადამისამართებაა procurement.gov.ge-ზე. |

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2012 წწ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 4 წლის მანძილზე (2009-2012) მოთხოვნები 753 საკითხზე გაიგზავნა. აქედან ყველაზე მეტი (675) მოთხოვნა ეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საჯარო ინფორმაციას, ხოლო აქტუალობით მეორე და მესამე ადგილებზე იყო ინფორმაცია ავტოპარკისა და ხელფასების, დანამატებისა და პრემიების შესახებ. ტენდენციების თვალსაზრისით, სახელმწიფო შესყიდვები ყველაზე აქტუალური საკითხი იყო 2010 წელს.




რაც შეეხება სხვა განცხადებებს, ერთადერთი საკითხი, რომელიც კვლევის მიერ დაფარული ოთხივე წლის მანძილზე იყო მოთხოვნილი, არის სამართლებრივი აქტები (2009-2010 წლებში თითო-თითო მოთხოვნა, 2011-2012 წლებში - სამ-სამი) და უწყების საშტატო განრიგთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია (2009 წელს - 1 მოთხოვნა, 2011 წელს - 3, ხოლო 2012 წელს - 2).




კვლევის მიერ დაფარული ოთხი წლის მანძილზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების ტენდენცია ცვალებადია. 2009 წელს დაფიქსირებული 85 მოთხოვნის შემდეგ, 2010 წელს იყო მატება 538 მოთხოვნამდე, 2011 წელს კი მოთხოვნების რაოდენობამ 121 შეადგინა. „საეთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ მხოლოდ ერთ წერილში იქნა მოთხოვნილ 521 საკითხი, კერძოდ საწარმოების მიერ 2008-2010 წლებში დადებული სატენდერო ხელშეკრულებები.




რაც შეეხება გაცემული საჯარო ინფორმაციის შინაარსობრივ მხარეს, შემთხვევების 96%-ში პასუხი სრულყოფილი იყო და სრულად პასუხობდა დასმულ საკითხებს. ამას გარდა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2009-2012 წლებში არც ერთ საკითხზე არ უთქვამს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. თუმცა, 19 შემთხვევაში გაცემული პასუხები არასრულყოფილი იყო, - რამაც მთლიანი პასუხების 2% შეადგინა. ხოლო 2%-ის შემთხვევაში (სულ12 ასეთი შემთხვევა) მოთხოვნები პასუხგაუცემელი აღმოჩნდა.



ყველაზე აქტუალური საკითხი, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საჯარო ინფორმაცია, 675 შემთხვევიდან 667-ში სრულყოფილად იქნა გაცემული, არც ერთხელ არ ყოფილა უარი ინფორმაციის გაცემაზე, 5-ჯერ გაიცა არასრული ინფორმაცია, ხოლო 3-ჯერ საკითხის იგნორირებას ჰქონდა ადგილი. არასრულყოფილი პასუხების მიზეზი იყო ის, რომ ინფორმაციის მოწოდების ნაცვლად მოხდა ვებ-გვერდზე (www.procuremenet.gov.ge) გადამისამრთება, რაც შეეხება იგნორირებას, სამივე შემთხვევაში ეს ეხებოდა შესყიდვების გეგმების შესახებ საჯარო ინფორმაციას.




რაც შეეხება სხვა საკითხებზე არასრულყოფილად მიწოდებული პასუხების თემატურ განაწილებას, ყველაზე მეტი არასრულყოფილი პასუხი გაეცა ინფორმაციის მოთხოვნებს ავტოპარკის, ხელფასების, დანამატების, პრემიების, საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტებისა და საჯარო ინფორმაციის რეესტრის შესახებ. ასევე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოთხოვნები სატელეკომუნიკაციო ხარჯებისა და პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის თაობაზე. არასრულყოფილი პასუხების მიზეზები იყო შემდეგი სახის: თანამშრომლების სატელეკომუნიკაციო ხარჯების შემთხვევაში მოცემული იყო მხოლოდ მეორე კვარტალის მონაცემები და არ იყო გამოყოფილი ინფორმაცია მობილური ოპერატორების, საერთაშორისო და ლოკალური ზარების შესახებ; საჯარო ინფორმაციის რეკვიზიტების შესახებ მოწოდებული იყო მხოლოდ შემოსული წერილების რაოდენობა და მათი სტატუსი, არ იქნა მოწოდებული საჯარო ინფორმაციის რეესტრი, პროექტებთან და პროგრამებთან დაკავშირებით არსებულ შეკითხვაზე მოხდა ვებ-გვერდზე გადამისამართება.

რაც შეეხება პასუხგაუცემელ განცხადებებს, ნაწილობრივ იგნორირებული იყო მოთხოვნები თანამდებობის პირთა სატელეკომუნიკაციო ხარჯების (მოწოდებული იყო მხოლოდ სისტემის სრული ხარჯი), თანამდებობის პირების სამივლინებო ხარჯების, სრული სისტემის საწვავის მოხმარების ხარჯების, შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობის, თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობის, ოფიციალურ მიღებებსა და საჩუქრებზე გაწეული ხარჯების, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფროსის პერსონალურ დაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ.

საინტერესოა აგრეთვე იმის აღნიშვნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ასევე გაგზავნილი იქნა საკონსულტაციო სახის განაცხადები ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, რომელიც სრულყოფილად დაკმაყოფილდა.




პასუხების უმეტესობა (659 საკითხი 720-დან) ვადების დაცვით იქნა გაცემული. თუმცა, ამ საკითხების უმრავლესობა მოდის სახელმწიფო შესყიდვებზე, სხვა საკითხებიდან მხოლოდ ღონისძიებები, სამართლებრივი აქტები და სხვა საჯარო ინფორმაცია იყო გაცემული ვადების დაცვით, ხოლო ყველა დანარჩენი საკითხი - ვადების დარღვევით.




ინფორმაციის მოწოდების ვადები ბლოკების მიხედვით
ბიუჯეტი
სარეზერვო ფონდები
უძრავი ქონება
სატელეკომუნიკაციო ხარჯები
მივლინებები
ავტოპარკი
შტატი
ხელფასები/ დანამატები/პრემიები
საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი
ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები
პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია
გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა
სამართლებრივი აქტები
სხვა საჯარო ინფორმაცია
3
4
0 1
2
2
14
6
8
3
2
6
2 1
3 4
4 1
0 2 4 6 8 10 12 14
ვადების დაცვა
ვადების დარღვევა

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

| სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო | | |
|---|---|---|
| მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია | მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია | კომენტარი |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | არ არის ცალ-ცალკე გამოყოფილი პირველი და მეორე კვარტალი. |
| | 1.2. არასაბიუჯეტო შემოსავლები | |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ | |
| | 2.2. გამოყოფილი თანხების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი. | |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) | გადამისამართებაა www.procurement.gov.ge-ზე. |

| | | |
|---|---|---|
| | 4.2. თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა | გადამისამართებაა www.procurement.gov.ge-ზე. |
| | 4.3. შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშები | TI -მ მოითხოვა 521 საწარმოს მიერ 2008 -2010 წლებში დადებული სატენდერო ხელშეკრულებები, რომელთა მოძიებაც მოითხოვდა წარმოდგენილი ანგარიშების ხელახლა შესწავლას , რისი რესურსიც საგენტოს არ გააჩნდა და ამიტომ შესთავაზეს მომთხოვნს ადგილზე გაცნობოდა ინფორმაციას. |
| | 4.4. შესყიდვებთან დაკავშირებული დავები | 2011 წლის 7 ნოემბრიდან ფუნქციონირებს ელექტრონული მოდული, რომელიც საჩივრის ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას იძლევა. |
| | 4.5. შესყიდვების დოკუმენტაცია | |
| | 4.6. შესყიდვების გეგმები | |
| | 4.7. ინფორმაცია ორგანიზციებისა და დაწესებულებების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ | |
| | 4.8. ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა | |
| **5. სატელეკომუნიკაციო ხარჯები** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | მოწოდებულია მხოლოდ სისტემის სრული ხარჯი. |

| | | |
|---|---|---|
| | 5.2. თანამშრომლების ხარჯები სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები). | |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | მოწოდებულია სრული სისტემის სამივლინებო ხარჯი (რაც არ იყო გამოთხოვნილი), კვარტალების და ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მითითების გარეშე. |
| | 6.2. თანამშრომლების სამივლინებო ხარჯები | |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი | |
| | 7.2. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება. | |
| | 7.3. თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯი. | |
| | 7.4. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი. | |

| | | |
|---|---|---|
| | 7.5. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული. | |
| | 7.6. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.7. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.8. თანამშრომლების ავტოპარკის განახლებისა და ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისთვის გაწეული ხარჯები | |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია. | |
| **9. ხელფასები/ დანამატები/პრემიები** | 9.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |

| | | |
|---|---|---|
| | 9.2. თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.3. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.4 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.5 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | |
| | 9.6. სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| **10. საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი** | 10.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე). | მოწოდებულია მხოლოდ შემოსული წერილების რაოდენობა და მათი სტატუსი (რომ ყველა დაკმაყოფილდა), თუმცა არ არის მოწოდებული ჩამონათვალი და რეკვიზიტები. |
| | 10.2. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია. | მოვითხოვეთ საჯარო რეესტრის ასლი ან ელ.ვერსია, პასუხში კი წერია რომ ასეთ რეესტრს აწარმოებენ და ასრულებენ მის დანიშნულებას, რაც არის საჯარო ინფორმაციის დაუბრკოლებლივ გაცემა. თუმცა, თავად რეესტრი მოწოდებული არ იქნა. |

| | | |
|---|---|---|
| **11. ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები** | 11.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | |
| | 11.2. ვებ-გვერდის შექმნის თარიღი. | |
| **12. პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია** | 12.1.განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | 2012 წელი: გადამისამართება ვებ-გვერდზე. |
| | 12.2. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | |
| **13. გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა** | 13.1.განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანამანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | |
| **14. სამართლებრივი აქტები** | 14.1. ორგანიზაციის არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში შეყვანის დოკუმენტაციის ასლები. | |
| **15. სხვა საჯარო ინფორმაცია** | 15.1. კონსულტაცია ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. | მოქალაქის მოთხოვნები არ მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გაგზავნილი კითხვები საკონსულტაციო ხასიათისაა. მიუხედავად ამისა ორივე შეკითხვას სრულყოფილი პასუხი გაეცა. |

| | | |
|---|---|---|
| | 15.2. არის თუ არა შესაძლებელი ვებ-გვერდზე 2009-2010 წლების მონაცემების მოძიება. | |
| | 15.3. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მიწერილობების რაოდენობა კონკურენციის შეზღუდვის მიზნით, სექტორების მიხედვით. | |
| | 15.4. ოფიციალურ მიღებებსა და საჩუქრებზე გაწეული ხარჯები. | |
| | 15.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფროსის პერსონალურ დაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ. | |

## საჯარო სამსახურის ბიურო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2012 წწ.

საჯარო სამსახურის ბიუროს ოთხი წლის განმავლობაში (2009-2012 წწ.) 796 საკითხზე მიმართეს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით, სულ 119-მა პირმა/ორგანიზაციამ. მოთხოვნების უმეტესობა ეხებოდა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებს - სულ 733 მოთხოვნა. დეკლარაციების დიდი ნაწილი მოთხოვნილ იქნა მოქალაქეების მიერ, განსაკუთრებით ხშირად განმცხადებლები ითხოვდნენ ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა ქონებრივ დეკლარაციებს. საინტერესოა, რომ ამ მოთხოვნათა უმეტესობა - 570 მოდის 2009 წელზე, როდესაც ქონებრივი დეკლარაციები ჯერ კიდევ არ იყო ელექტრონულად ხელმისაწვდომი. ხოლო 2010 წლიდან, რაც საჯარო სამსახურის ბიურომ ქაღალდზე შევსებული დეკლარაციები ელექტრონული სისტემით, www.declaration.gov.ge-ით ჩაანაცვლა, მოთხოვნების რაოდენობა უკვე 149-მდე შემცირდა. 2011 და 2012 წლებში კი საჯარო სამსახურის ბიუროს შესაბამისად მხოლოდ 9 და 5 მოთხოვნა გაეგზავნა. ეს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ როდესაც საზოგადოებითვის აქტუალური ინფორმაცია პროაქტიულად არის ხელმისაწვდომი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა რაოდენობა საგრძნობლად იკლებს.

ქონებრივი დეკლარაციების შემდეგ ყველაზე მოთხოვნადი ინფორმაცია კვლევის მიერ დაფარული ოთხი წლის მანძილზე არის ინფორმაცია ხელფასების, დანამატებისა და პრემიების შესახებ, რომელსაც მცირედით ჩამორჩება ინფორმაცია ავტოპარკის შესახებ. ორივე ყველაზე აქტუალური იყო 2011 წელს (ეს დაემთხვა 2011 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში საჯარო სამსახურის ბიუროდან ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნას). საინტერესოა, რომ პროექტებთან და პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია 2011-2012 წლებში გახდა აქტუალური, ხოლო სამართლებრივი აქტები თანაბრად აქტუალური იყო 2009 წლიდან, და მცირედით უფრო მოთხოვნადი გახდა 2012-ში.






აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული პასუხების აბსოლუტური უმრავლესობა სრულყოფილია, რაც ნიშნავს, რომ სრულად პასუხობს გამოთხოვილ ინფორმაციას. 796 შემთხვევიდან მხოლოდ 9 შემთხვევაში იყო გაცემული პასუხი არასრულყოფილი სახით, ხოლო 11 შემთხვევაში საკითხები იგნორირებული დარჩა. სავარაუდოდ, ასეთი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ქონებრივი დეკლარაციების გაცემის მაღალი ხარისხით - სულ 733 შემთხვევიდან 719 შემთხვევაში ინფორმაცია სრულად იქნა გაცემული. არასრულყოფილი პასუხები კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ბიუჯეტი, უძრავი ქონება, მივლინებები, ავტოპარკი და სამართლებრივი აქტები.






შინაარსობრივად, პასუხები სხვადასხვა მიზეზების გამო იყო არასრულყოფილი. მაგ. არ იყო მოწოდებული ბიუჯეტის დეტალური ბალანსი, ცალ-ცალკე არ იქნა გამოყოფილი ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გაწეული სამივლინებო ხარჯები, არ იქნა გამიჯნული თანამდებობის პირების და თანამშრომლების ავტოპარკის ხარჯები, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებთან დაკავშირებით გადამისამართებაა ვებ-გვერდზე და მოთხოვნის ფორმის შესაბამისად არ არის გაცემული ინფორმაცია, სამართლებრივი აქტების შემთხვევაშიც ვებ-გვერდზე მითითებაა.

რაც შეეხება ვადების დაცვის საკითხს, პასუხების 55% ვადების დარღვევით იქნა გაცემული, აქედან უმეტესობა ქონებრივი დეკლარაციებს უკავშირდება - 733 საკითხიდან 435-ზე პასუხი ინფორმაციის მომთხოვნმა ვადების დარღვევით მიიღო.






## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: საჯარო სამსახურის ბიურო

| საჯარო სამსახურის ბიურო | | |
|---|---|---|
| მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია | მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია | კომენტარი |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | 2011 წლის მეორე კვარტალი: არ არის მოწოდებული ბიუჯეტის დეტალური ბალანსი. |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ | |
| | 2.2. გამოყოფილი თანხების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი. | |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი | |
| | 3.2. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) | |
| **5. სატელეკომუნიკაციო ხარჯები** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | 2011 წლის მეორე კვარტალი: მოცემულია თანამდებობის პირების მიერ ტელეკომუნიკაციაზე დახარჯული თანხები, თვეების მიხედვით. არ არის მოწოდებული ინფორმაცია მობილური ოპერატორების, საერთაშორისო და ლოკალურ ზარებზე გაწეული ხარჯების შესახებ. |

| | | |
|---|---|---|
| | 5.2. თანამშრომლების ხარჯები სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) | |
| | 5.3. სრული სისტემის ხარჯები სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები). | |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | 2011 წლის მეორე კვარტალი: არ არის მითითებული ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გაწეული ხარჯები ცალ-ცალკე. |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი. | |
| | 7.2. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება. | |
| | 7.3. თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯი. | |
| | 7.4. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი. | |
| | 7.5. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული. | |
| | 7.6. სრული სისტემის თანამშრომლების ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი და საწვავის ტიპი. | |

| | | |
|---|---|---|
| | 7.7. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | 2011 წლის მეორე კვარტალი: მოწოდებულია თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების საერთო ხარჯი. ინფორმაცია თანამდებობის პირების შესახებ არ არის მოწოდებული ცალკე. |
| | 7.8. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა | |
| | 8.2. შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.3. საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირების ჩამონათვალი (ვინაობა და თანამდებობის სახელწოდება) | |
| | 8.4. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია. | |
| **9. ხელფასები/ დანამატები/პრემიები** | 9.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.2. თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.3. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.4 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.5. თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.6. თანამშრომლებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |

| | | |
|---|---|---|
| | 9.7 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | |
| | 9.8. სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| | 9.9. თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| **10. საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი** | 10.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე). | |
| | 10.2. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია. | |
| **11. ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები** | 11.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | |
| **12. პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია** | 12.1. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | |
| | 12.2. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | |

| | | |
|---|---|---|
| | 12.3. ინფორმაცია საქართველოს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის ფარგლებში გატარებული ადამიანური მართვის სფეროს რეფორმის შესახებ; შემუშავებული დოკუმენტების ასლები; | |
| | 12.4. სამინისტროებში და სხვა საჯარო სამსახურებში მოხელეთა შეფასებისა და მოტივაციის სისტემის დანერგვა; შემუშავებული დოკუმენტების ასლები; | |
| | 12.5. ტრენინგები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირებისათვის; შემუშავებული დოკუმენტების ასლები; | |
| | 12.6 ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა ტრენინგის წესის შემუშავებისა და დამტკიცების თარიღის შესახებ; | |
| **13. გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა** | 13.1. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანამანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | |
| | 13.2. თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა. | |
| **14 თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები** | 14.1. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები. | დეკლარაციების დიდი ნაწილი მოთხოვნილ იქნა მოქალაქეების მიერ, განსაკუთრებით ხშირად განმცხადებლები ითხოვენ ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა ქონებრივ დეკლარაციებს; |
| | 14.2. რამდენ საჯარო მოხელეს არ წარმოუდგენია ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაცია. | |

| | | |
|---|---|---|
| | 14.3.გატარდა თუ არა კანონით განსაზღვრული სანქციები ქონებრივი დეკლარაციის შეუვსებლობისათვის. | |
| | 14.4.ჰქონდა თუ არა ადგილი ჯარიმების დაკისრების შესახებ განკარგულების გასაჩივრებას. | |
| | 14.5. რამდენ საჯარო მოხელეს დაეკისრა სანქცია ქონებრივი დეკლარაციის არასრულყოფილად შევსებისთვის. | |
| | 14.6. რატომ არ არის საიტზე განთავსებული ძალოვანი უწყებების თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციები. | გადამისამართებულნი იქნენ ვებ-გვერდზე და ინფორმაცია არ გაიცა მოთხოვნის ფორმის შესაბამისად. |
| | 14.7. ვალდებულნი არიან თუ არა შს სამინისტროს კუდ-ისა და სოდ -ის უფროსები შეავსონ და კანონით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინონ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციები. | |
| | 14.8. ქალაქ ბათუმის მერი, რ.ჩხაიძე, რომელიც 30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად თანამდებობიდან გადადგა ვალდებული იყო თუ არა შეევსო 30 მაისამდე ქონებრივი დეკლარაცია. | |
| | 14.9. ქონებრივი დეკლარაციის არასრულყოფილად შევსების განმსაზღვრელი კრიტერიუმები. | |
| | 14.10. საჯარო მოხელეების კორუფციული პასუხისმგებლობის საკითხის კვლევის მეთოდები. | |

| | | |
|---|---|---|
| **15. სამართლებრივი აქტები** | 15.1. „საჯარო სამსახურის კოდექსის“ პროექტი. | გადამისამართებულნი იქნენ ვებ-გვერდზე და ინფორმაცია არ გაიცა მოთხოვნის ფორმის შესაბამისად |
| | 15.2. "საჯარო სამსახურის შესახებ კანონის" მიხედვით მოსამსახურის გათავისუფლებისას ბრძანების ტექსტში კონკრეტული პუნქტების მითითების საკითხი. | |
| | 15.3. საჯარო სამსახურში ფაქსიმილური ხელმოწერების გამოყენების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები. | |
| | 15.4 საჯარო სამსახურის ბიუროს წესდების ასლი. | |
| | 15.5.საქართველოს კონტროლის პალატის საატესტაციო კომიისიის თავმჯდომარის ვინაობა და თანამდებობაზე დანიშვნის დრო; | |

## აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2011

2009-2011 წლებში აჭარის მთავრობას სულ 168 საკითხზე მიმართეს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. საკითხების აქტუალობა დინამიურად იზრდებოდა 2009 წლიდან.




თემატურად ყველაზე აქტუალური საკითხი აპარატის საშტატო განრიგს უკავშირდება, მას მცირედით ჩამორჩება სამართლებრივი აქტების, ხელფასების, დანამატებისა და პრემიების, სახელმწიფო შესყიდვების, სარეზერვო ფონდების და მივლინებების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია.

პასუხების შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ 53%-ის შემთხვევაში იქნა გაცემული სრულყოფილი ინფორმაცია. შემთხვევების ერთ მეოთხედში გაცემული პასუხები

არასრულყოფილი იყო (სულ 42 საკითხი), 20%-ის შემთხვევაში საკითხებზე არანაირი რეაგირება არ ყოფილა, ხოლო 4 შემთხვევაში განცხადებები არ დაკმაყოფილდა (შემთხვევის 2% ).




არასრულყოფილი პასუხების ძირითადი მიზეზები შემდეგი სახის იყო:

- არ იყო მოწოდებული ბიუჯეტის დეტალური ბალანსი, ხშირი იყო www.matsne.gov.ge-ზე და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებზე (გაზეთი აჭარა, საკანონმდებლო მაცნე) გადამისამართება;
- სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში გადამისამართება იყო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge;
- ხშირია შემთხვევა როდესაც ინფორმაცია არ გაიცემა იმ მოტივით, რომ მოთხოვნილი მონაცემები არ არის დაცული მთავრობის აპარატში, თუმცა ამავე დროს არ ხდება განცხადებების გადამისამართება შესაბამის საჯარო დაწესებულებებში. მაგ. საქვეუწყებო დაწესებულებების შესახებ მოთხოვნილ ინფორმაციაზე, აღნიშნულია რომ დაწესებულება ვალდებულია გასცეს მხოლოდ ის ინფორმაცია რომელიც მასთან არის დაცული, ეს ინფორმაცია კი მათთან არ ინახება.
- სატელეკომუნიკაციო ხარჯების შემთხვევაში არ იყო ინფორმაცია ლოკალური, საერთაშორისო და მობილური ტელეფონის ზარების ხარჯების შესახებ;
- სატელეფონო საუბრების ხარჯებთან დაკავშირებით მოცემული იყო მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებული სრული თანხა;
- სამივლინებო ხარჯების შემთხვევაში მოცემული იყო მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებული სრული თანხა;
- საწვავის ხარჯების შემთხვევაში მოცემული იყო მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებული სრული თანხა;

- პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/ების ფუნქციების შემთხვევაში არ იყო მითითებული აქტები, რომლებითაც განსაზღვრულია ფუნქციები;
- 2009 წელს მრჩეველთა საბჭოს წევრების რაოდენობა არ იქნა მიწოდებული;
- თანამშრომლების შერჩევის პროცესის შესახებ მოთხოვნის პასუხში ნათქვამი იყო, რომ თანამშრომლების შერჩევა კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება, თუმცა დაკონკრეტებული არ იყო შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები;
- თანამშრომლების პრემიების თაობაზე მოცემული იყო კანონდებლობით დადგენილი წესი, და არა რეალური ხარჯები;
- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განხორციელებულ პროექტებზე ნათქვამი იყო, რომ აჭარის ა/რ ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელდა არაერთი ღონისძიება, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია. კონკრეტული ღონისძიებებზე ინფორმაციის მისაღებად მომთხოვნს ამართებენ აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში;



აჭარის ა/რ მთავრობის აპარატმა უარი განაცხადა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, ძირითადად დოკუმენტებში პერსონალური ინფორმაციის შემცველი მონაცემების გამო.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნების 20% აჭარის ა/რ მთავრობის მიერ იგნორირებული იყო. ყველაზე მეტი პასუხგაუცემელი საკითხი ეხებოდა საშტატო ნუსხას და ხელფასებს, დანამატებსა და პრემიებს (მათ შორის თანამდებობის პირების ხელფასებს, დანამატებსა და პრემიებს). აგრეთვე ინფორმაციას: თანამდებობის პირების სატელეფონო ხარჯების, სამივლინებო ხარჯების, მათ შორის თანამდებობის პირების სამივლინებო ხარჯების, თანამდებობის პირების ავტომანქანების მომსახურებაზე გაწეული ხარჯების, საჯარო ინფორმაციის რეესტრის, ვებ-გვერდის შექმნის ხარჯების, განხორციელებული ღონისძიებების, სამართლებრივი აქტების და სხვა საჯარო ინფორმაციის (მაგ. ტერიტორიის საძოვრებად აღიარების თაობაზე) შესახებ.



რაც შეეხება ვადების დაცვას, პასუხების 70% საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული 10-დღიანი ვადის დაცვით იყო მოწოდებული, ხოლო 30% - დარღვევით. შინაარსობრივად ვადების ყველაზე ხშირი დარღვევა მოხდა შტატისა და სამართლებრივი აქტების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემისას.

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ მთავრობა

| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა | | |
|---|---|---|
| მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია | მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია | კომენტარი |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | არ არის მოწოდებული ბიუჯეტის დეტალური ბალანსი. |
| | 1.2. აჭარის ა.რ. 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ა/რ კანონი. | |
| | 1.3. აჭარის ა/რ მთავრობის (მათ შორის აპარატის) 2009 და 2010 წლების დეტალური ბიუჯეტი. | |
| | 1.4. რა თანხა გამოიყო აჭარის ა/რ მთავრობის ბიუჯეტიდან სატელევიზიო არხის "აჭარის ტელევიზიის" დაფინანსების მიზნით 2010-2011 წწ. და რა რაოდენობის თანხის გამოყოფაა დაგეგმილი 2012 წლისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში. | გადამისამართებაა www. Matsne.gov.ge-ზე. |
| | 1.5. 2011 წლის ბიუჯეტი (უკანასკნელი რედაქციით), როგორც ბეჭდური, ისე ელ.სახით | გადამისამართებაა www. Matsne.gov.ge-ზე. |
| | 1.6. თუ დამტკიცებულია, 2012 წლის ბიუჯეტი, ან მისი პროექტი. | |

| | | |
|---|---|---|
| | 1.7. დეტალური ხარჯთაღრიცხვა 2005 წლიდან 2011 წლის ოქტომბრამდე აჭარის მთავრობის თავმჯდომარის აპარატის შესანახად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები. | პასუხში მითითებაა ბიუჯეტის შესახებ კანონებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში (გაზეთი აჭარა, საკანონმდებლო მაცნე). |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ. | |
| | 2.2. გამოყოფილი თანხების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი. | |
| | 2.3. 2007-2008 წლებში აჭარის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თუ არა თანხები გზების რეაბილიტაციაზე. თუ გამოიყო, შესაბამისი განკარგულების ასლები. | |
| | 2.4. რამდენს შეადგენს 2010 წლის აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი. | |
| | 2.5. რომელი აქტივობები დაფინანსდა სარეზერვო ფონდიდან 2010 წელს (4 აგვისტომდე). | |
| | 2.6. არის თუ არა დაგეგმილი სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის კომპენსაციის სახით თანხის გაცემა. თუ კი, რამდენ ოჯახზეა დადგმილი კომპენსაციის გაცემა, რა ოდენობის კომპენსაცია გაიცემა და როდის მიიღებენ აღნიშნულ ფულად დახმარებას სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები. | პასუხში ნათქვამია, რომ სარეზერვო ფონდები იქმნება გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის და სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის წინასწარ დაგეგმვას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. |

| | | |
|---|---|---|
| | 2.7. რამდენს შეადგენდა 2009 წლის აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი. | |
| | 2.8. 2009 წლის განმავლობაში რომელი აქტივობები დაფინანსდა სარეზერვო ფონდიდან და კონკრეტულად რა ოდენობის თანხა იქნა გამოყოფილი აღნიშნული აქტივობებისთვის. | |
| | 2.9. აჭარის ა/რ 2011 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2011 წლის 25 აგვისტომდე წლის განმავლობაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობა, ოჯახების ჩამონათვალი და ის კრიტერიუმები რის საფუძველზეც შეირჩა აღნიშნული ოჯახები და გადაწყდა მათთვის დახმარების გაწევა. | ინფორმაცია მოწოდებულია დანართში, თუმცა არ ჩანს ყველაფერზეა გაცემული პასუხი თუ არა. |
| | 2.10. აჭარის ა/რ 2011 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან 2011 წლის 18 ივლისამდე, წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხების ოდენობა და მათი მიზნობრიობა. | |
| | 2.11. აჭარის ა/რ ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2010 წელს გამოყოფილი თანხების ოდენობა და მიზნობრიობა (ელ.სახით, დვდ დისკზე). | მიზნობრიობა არ არის დაკონკრეტებული, მოწოდებულია სარეზერვო ფონდების მიზნობრიობის განმარტება. |

| | | |
|---|---|---|
| | 2.12. აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურის მოკლე ანოტაცია (ელ.სახით, დვდ დისკზე). | მიწოდებულია სარეზერვო ფონდების განმარტება კანონდებლობის მიხედვით. |
| | 2.13. აჭარის ა/რ 2011 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული სარეზერვო ფონდის რაოდენობა (ელ.სახით, დვდ დისკზე). | |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი. | |
| | 3.2. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება. | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია). | გადამისამართებაა ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge |
| | 4.2. თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა | გადამისამართებაა ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge |
| | 4.3. შესყიდვების გეგმები 2005 წლიდან 2011 წლის ოქტომბრამდე. | გადამისამართებაა შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე. |
| | 4.4. აჭარის მთავრობის მთავრობის აპარატის 2007-2009 წწ. ცალკეული სახელმწიფო შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელების იურიდიული და ეკონომიკური საფუძვლები. | მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ იურიდიული საფუძვლების შესახებ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 4.5. აჭარის მთავრობის აპარატთან არსებული საქვეუწყებო დაწესებულებების 2007-2009 წწ. ცალკეული სახელმწიფო შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელების იურიდიული და ეკონომიკური საფუძვლები. | მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების შესახებ მოთხოვნაზე გადამისამართებაა. -- მეორედ გაგზავნილ კითხვაზე უარია საქვეუწყებო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე, რადგან წერია, რომ დაწესებულება ვალდებულია გასცეს მხოლოდ ის ინფორმაცია რომელიც მასთან არის დაცული, ეს ინფორმაცია კი მასთან არ ინახება. | აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციაზე უარის შემდეგ კიდევ ერთხელ მოითხოვეს იგივე ინფორმაცია საქვეუწყებო დაწესებულებებზე. მეორეჯერაც უარი მიიღეს. |
| | 4.6. აჭარის მთავრობის აპარატის 2007-2009 წწ. ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები. | ითხოვდნენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც უნდა გამოცხადებულიყო ტენდერი, და შესყიდვა განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. -- ინფორმაცია არის დანართში, რომელიც მოწოდებული არ არის. | |
| | 4.7. აჭარის მთავრობის აპარატთან არსებული საქვეუწყებო დაწესებულებების 2007-2009 წწ. ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები. | მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების შესახებ მოთხოვნაზე გადამისამართებაა. -- მეორედ გაგზავნილ კითხვაზე უარია საქვეუწყებო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე, წერილში ნათქვამია რომ დაწესებულება ვალდებულია გასცეს მხოლოდ ის ინფორმაცია რომელიც მასთან არის დაცული, ეს ინფორმაცია კი მასთან არ ინახება. | აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე უარის შემდეგ კიდევ ერთხელ მოითხოვეს იგივე ინფორმაცია საქვეუწყებო დაწესებულებებზე. მეორეჯერაც უარი მიიღეს. |
| | 4.8. აჭარის მთავრობის აპარატის 2007-2009 წწ. ბოლო სამი წლის განმავლობაში ერთ პირთან მოლაპარაკებებში გამარჯვებული ფირმების რეესტრი, შესრულებული სამუშაობებისა და მოცულობების მიხედვით. | რეესტრი მოწოდებული არ არის, თუმცა წერია, რომ მთავრობის აპარატში ასეთი შესყიდვა მოხდა მხოლოდ ერთხელ.<br><br>მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების შესახებ მოტხოვნაზე გადამისამართებაა. | ითხოვდნენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც უნდა გამოცხადებულიყო ტენდერი და ამ შემთხვევაში შესყიდვა განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 4.9. აჭარის მთავრობის აპარატთან არსებული საქვეუწყებო დაწესებულებების 2007-2009 წწ. ბოლო სამი წლის განმავლობაში ერთ პირთან მოლაპარაკებებში გამარჯვებული ფირმების რეესტრი, შესრულებული სამუშაობებისა და მოცულობების მიხედვით. | მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების შესახებ გადამისამართებაა.<br><br>მეორედ გაგზავნილ კითხვაზე უარია საქვეუწყებო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე, რადგან წერია, რომ დაწესებულება ვალდებულია გასცეს მხოლოდ ის ინფორმაცია რომელიც მასთან არის დაცული, ეს ინფორმაცია კი მასთან არ ინახება. | აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე უარის შემდეგ კიდევ ერთხელ მოითხოვეს იგივე ინფორმაცია საქვეუწყებო დაწესებულებებზე. მეორეჯერაც უარი მიიღეს. |
| | 4.10. აჭარის არ მთავრობის თავმჯდომარის წერილის ქსეროასლი. | | |
| | 4.11. აჭარის ა.რ. მთავრობის მიერ ორგანიზებულ სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ იურიდიულ პირთა და/ან ინდივიდუალურ მეწარმეთა შესახებ ინფორმაცია, თითოეულის შემთხვევაში - 1) რა საქონლის, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა მოხდა; და 2) თანხობრივად, რა მოცულობა შეადგინა ამ ხელშეკრულებამ. | | |
| | 4.12. აჭარის ა.რ. მთავრობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით 2004 წლის პირველი იანვირდან 2011 წლის 24 ოქტომბრამდე შპს "მპვ"-სთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების ასლი. | | |

| | | |
|---|---|---|
| **5. სატელეკომუნიკაციო ხარჯები** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | |
| | 5.2. თანამშრომლების ხარჯები სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები). | მოცემულია მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებული სრული თანხა. |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | მოწოდებულია მთლიანი აპარატის სამივლინებო ხარჯი, არ არის გამოყოფილი ქვეყნის შიგნით და გარეთ გაწეული ხარჯები. |
| | 6.2. თანამშრომლების სამივლინებო ხარჯები | მოცემულია მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებული სრული თანხა. |
| | 6.3. აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის ოფიციალური (დაგეგმილი და დაუგეგმავი) ვიზიტების შესახებ ინფორმაცია (როდის, რომელ ქვეყანაში, ვისთან და რა მიზნით გაიმართა შეხვედრები). | |

| | | |
|---|---|---|
| | 6.4. აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის ოფიციალური (დაგეგმილი და დაუგეგმავი) ვიზიტების გასამართად ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების რაოდენობა. | |
| | 6.5. მივლინებებისთვის გამოყოფილი ხარჯები 2008 წლიდან 2010 წლის 9 ივლისამდე, წლების მიხედვით. | |
| | 6.6. 2008 წლიდან 2010 წლის 9 ივლისამდე ვინ სად და რა მიზეზით იმყოფებოდა მივლინებაში. | |
| | 6.7. 2008-2009 წლებში რა თანხები იყო გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხელეთა მივლინებისათვის. | |
| | 6.8. 2008-2009 წლებში რომელმა საჯარო მოხელემ ისარგებლა მივლინებით და რომელ ქვეყანაში. | |
| | 6.9. 2008-2009 წლებში მივლინების ადგილი, დრო (დანიშნულება - ჩაემატა მეორედ გაგზავნილ წერილში და საჩივარში). | მეორე წერილზე მირებული არადამაკმაყოფილებელი პასუხის შემდეგ გაიგზავნა ადმინისტრაციული საჩივარი, სადაც ეს საკითხი ხელახლა გამოითხოვეს. პასუხში მოწოდებულია მხოლოდ ქვეყნის გარეთ მივლინებები, არ არის დაკონკრეტებული დანიშნულებები, ხოლო შედეგის შესახებ ნათქვამია, რომ ეს ინფორმაცია არ წარმოადგენს დოკუმენტს და/ან მიღებულ, დამუშავებულ და შექმნილ ინფორმაციას, და ვერ გასცემენ. |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი | |
| | 7.2. თანამდებობის პირებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება. | მოცემულია რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი და ნათქვამია რომ აქედან ორი ემსახურება ხელმძღვანელ პირებს, თუმცა დაკონკრეტებული არ არის, რომელი ორი. |

| | | |
|---|---|---|
| | 7.3. თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯი. | |
| | 7.4. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი. | |
| | 7.5. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული. | |
| | 7.6. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.7. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.8. 2004 წლიდან 2010 წლის 18 ივნისამდე მთავრობის აპარატზე მიმაგრებული ავტომანქანების ნუსხა - საიდენტიფიკაციო კოდი, გამოშვების წელი, ავტომანქანის მარკა. | |
| | 7.9. 2004 წლიდან 2010 წლის 18 ივნისამდე მთავრობის აპარატზე მიმაგრებული ავტომანქანების პერსონალური განაწილება - ვინაობა და თანამდებობრივი მდგომარეობა იმ პირებისა, ვისზედაც მიმაგრებულია მთავრობის აპარატის ბალანზე რიცხული ავტომანქანები. | |

| | | |
|---|---|---|
| | 7.10. 2004 წლიდან 2010 წლის 18 ივნისამდე მთავრობის აპარატის თითოეული შეძენილი ავტომანქანის დაფინანსების, ხოლო სარგებლობაში არსებული ავტომანქანის წარმომავლობის წყარო (რომელი ავტომანქანა რამდენად, როდის და რა თანხით იქნა შეძენილი; ვის მიერ და როდის იქნა გადმოცემული ავტომანქანები მთავრობის აპარატისთვის. | |
| | 7.11. თანამშრომლების საწვავის ხარჯები. | მოცემულია მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებული სრული თანხა. |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.2 აჭარის ა/რ მთავრობის აპარატში მომუშავეთა რიცხოვნება თანამდებობების მითითებით. | ერთად არის გამოთხოვილი მომუშავეთა რიცხოვნება და მათი ხელფასებისა და პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით. პასუხში ჩანს, რომ ხელფასებზე და პრემიებზე არის გაცემული პასუხი (დანართში უნდა იყოს), ხოლო მომუშავეთა რიცხოვნებაზე არაფერია მითითებული. შეიძლება დანართში ჩანდეს, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული წერილდან გამომდინარე ამის თქმა შეუძლებელია. |
| | 8.3. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია. | |
| | 8.4. რა თანამდებობაზე მუშაობს (ან მუშაობდა) აჭარის მთავრობაში მოქალაქე _____. | |
| | 8.5. _________ ავტობიოგრაფია (CV) | სზაკ-ის მიხედვით შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და ინფორმაცია არ გაიცა. |
| | 8.6 არსებობს თუ არა სტრუქტურული ერთეული/ები, რომელიც უზრუნველყოფს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობას. | |

| | | |
|---|---|---|
| | 8.7 არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ების დასახელება და აქტი (დასახელება, გამომცემი ორგანო, გამოცემის თარიღი და ნომერი), რომლის საფუძველზეც არსებობს იგი. | |
| | 8.8 არსებობის შემთხვევაში, ასეთი ერთეულის/ების ადგილი საჯარო დაწესებულების სტრუქტურაში. დამოუკიდებელი ფორმით არსებობს თუ სხვა სტრუქტურული ერთეულის დაქვემდებარებაშია (რომლის). | |
| | 8.9 ექვემდებარება თუ არა პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული შიდა სტრუქტურულ დაყოფას; ასეთ შემთხვევაში, შიდა სტრუქტურული ერთეულების დასახელებები. | |
| | 8.10 პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/ების ფუნქციათა ჩამონათვალი. თუ აღნიშნული ერთეული ექვემდებარება შიდა სტრუქტურულ დაყოფას, თითოეული შიდა ერთეულის ფუნქციები; აგრეთვე აქტები, რომლითაც განსაზღვრულია აღნიშნული ფუნქციები (აქტის დასახელება, გამომცემი ორგანო, გამოცემის თარიღი და ნომერი). | არ არის მითითებული აქტები, რომლებითაც განსაზღვრულია ფუნქციები. |

| | | |
|---|---|---|
| | 8.11 სზაკ-ით დადგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება შედის თუ არა ასეთი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებში; უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რომელი ერთეულის უფლებამოსილებას მიეკუთვნება აღნიშნული ფუნქციის განხორციელება. | |
| | 8.12 პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირების სახელი, გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. თუ სპეციალური ერთეული არ არის, რომელი ერთეულის კომპეტენციაშია ეს ფუნქციები, თუ ფუნქციები რამდენიმე ერთეულს შორის ნაწილდება, ასეთი ერთეულების ჩამონათვალი ფუნქციების მიხედვით. | |
| | 8.13 აჭარის ა/რ რესპუბლიკის მთავრობაში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა დემოგრაფიული მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების წელი, განათლება, თანამდებობა ა.შ.) | პასუხში ნათქვამია, რომ მოთხოვნილი ინფორმაციიდან ზოგი შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომელიც პირადი საიდუმლოა და დაცულია საჯარო გამხელისგან. ასეთი პასუხი შეიძლება ჩაითვალოს არასრულყოფილად, იმიტომ რომ მხოლოდ ზოგი ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, ხოლო, მაგალითად, საჯარო მოხელეების ჩამონათვალი შეეძლოთ გაეცათ. |
| | 8.14 აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის საშტატო ერთეულის ნუსხა (სახელები და გვარები) 2008 წელს. | |
| | 8.17 აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელის _______ დანიშვნის ბრძანების ქსეროასლი. | პირველად გაგზავნილი წერილის პასუხში ეს მოთხოვნა იგნორებული იყო. ინფორმაცია გაიცა გასაჩივრების შემდეგ. |

| | | |
|---|---|---|
| | 8.18 რამდენი წევრისგან შედგება მრჩეველთა საბჭო ამჟამად და 2009 წლის განმავლობაში. | |
| | 8.19 აჭარის ა.რ მთავრობის აპარატის საშტატო ერთეულების ნუსხა. | |
| | 8.20 აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატში დასაქმებულ პირთა ჩამონათვალი დაკავებული თანამდებობების მიხედვით. | |
| | 8.21 აჭარის ა/რ მთავრობის აპარატში დასაქმებულ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, სამსახურებრივი ტელეფონის და კორპორაციული მობილური ტელეფონების ნომრების ჩათვლით. | წერილის პასუხში არ არის მოწოდებული აპარატის თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაცია, მოცემულია მხოლოდ მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილებისა და მთავრობის ანალიზის განყოფილების (კანცელარიის) სამსახურეობრივი ტელეფონის ნომრები. ამის შემდეგ გაიგზავნა ადმინისტრაციული საჩივარი, რის პასუხადაც გასცეს ჯეოსელის 877 ქსელში ჩართული კორპორაციული მობილური ტელეფონის ნომრები, თუმცა აპარატის თანამშრომლების სამსახურებრივი ტელეფონის ნომრები მაინც არ გაცემულა. |
| | 8.22 აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების ჩამონათვალი, მისამართები და ხელმძღვანელი პირების დასახელება. | პირველად გაგზავნილი წერილის პასუხში არ იყო მითითებული საქვეუწყებო ერთეულების მისამართები, რაც ხელახლა იქნა მოთხოვნილი. მეორე წერილის პასუხში მოწოდებულია მისამართები. |
| | 8.23 აჭარის მთავრობის თავმჯდომარის აპარატში მომუშავეთა რაოდენობა. | |
| | 8.24 აჭარის მთავრობის თავმჯდომარის აპარატში ყველა დასაქმებული ადამიანის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (კორპორაციული ტელ. ნომერი ვინაობის მითითებით). | წერილში არ არის მითითებული, რომ ეს ინფორმაცია გაიცა. თუმცა, ამ კითხვის პასუხში არის დანართი (რომელიც არ გვაქვს) და სავარაუდოდ ამ დანართში უნდა იყოს მოცემული. |

| | | |
|---|---|---|
| | 8.25 როგორ ხორციელდება თანამშრომლების შერჩევა. დეტალური ინფორმაცია ჩატარებული კონკურსების შესახებ - მონაწილეთა და გაიმარჯვებულთა ვინაობა, კონკურსის პირობები. | პასუხში ნათქვამია, რომ თანამშრომელთა შერჩევა კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება. კონკრეტული დეტალების გარეშე. |
| | 8.26 2005 წლიდან 2011 წლის ოქტომბრამდე რამდენი ახალი თანამშრომელი აიყვანეს, რამდენი გათავისუფლდა და რამდენმა დატოვა თანამდებობა საკუთარი ნებით; ამ პირების ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია. | |
| | 8.27 2004 წლის 6 მაისიდან 2011 წლამდე აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის უფროსების და მოვალეობის შემსრულებლების შესახებ ინფორმაცია, სახელი, გვარი და დანიშვნა-გათავისუფლების თარიღები. | |
| | 8.28 რამდენი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი აქვს დაფუძნებული აჭარის ა/რ მთავრობას. | |
| | 8.29 აჭარის ა.რ. მთავრობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების სია, ხელმძღვანელის, მისამართის, ტელეფონის და ვებ-გვერდის ჩათვლით. | |
| | 8.30 აჭარის ა/რ მთავრობის მიერ დაფუძნებული ყველა არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირისი წესდება. | |

| | | |
|---|---|---|
| | 8.31 შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| **9. ხელფასები/ დანამატები/პრემიები** | 9.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.2. თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.3. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.4 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.5 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | |
| | 9.6. სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| | 9.7 საშტატო ნუსხის (დასაქმებული ადამიანების სახელები და გვარები) ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება. | მოცემულია სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო. არ არის მოცემული ინფორმაცია კონკრეტული პირების შესახებ, ეს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემებს შეიცავს და ვერ გასცემდნენ (თუმცა არ არის დასაბუთებული, რომ ამ მიზეზით არ გასცეს ეს ინფორმაცია). |
| | 9.8. საშტატო ნუსხის (დასაქმებული ადამიანების სახელები და გვარები) ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება. | პასუხში აღნიშნულია რომ პრემია კვარტალში ერთხელ გაიცემა თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით. არ არის მოცემული ინფორმაცია კონკრეტული პირების შესახებ, ეს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემებს შეიცავს და ვერ გასცემდნენ (თუმცა არ არის მითითებული, რომ ამის გამო არ გასცეს ინფორმაცია). |

| | | |
|---|---|---|
| | 9.9. აჭარის ა/რ მთავრობის აპარატში მომუშავე თითოეულ თანამშრომელზე (საშტატო, შტატგარეშე, სპეც.ხელშეკრულებით) გაცემული ხელფასის ოდენობა თვეების მიხედვით, 2010 წ. 1 იანვრიდან 18 აგვისტომდე პერიოდში. | ნათქვამია, რომ კანონმდებლობით კვარტალში ერთხელ ხდება გაცემა, თანამდებობრივი სარგოს ერთმაგი ოდენობით. თუმცა, რეალურად გაცემული პრემიების შესახებ არის თუ არა გაცემული ინფორმაცია, არ ჩანს. |
| | 9.10. აჭარის ა/რ მთავრობის აპარატში მომუშავე თითოეულ თანამშრომელზე (საშტატო, შტატგარეშე, სპეც.ხელშეკრულებით) გაცემული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით, 2010 წ. 1 იანვრიდან 18 აგვისტომდე პერიოდში. | |
| | 9.11. რამდენს შეადგენს აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს წევრების შრომითი ანაზღაურება და ყოველთვიური ხაჯრი. | |
| | 9.12. რა თანხები იყო განსაზღვრული საპრემიო ფონდისთვის და სახელფასო დანამატებისთვის 2008 წლიდან 2010 წლის 9 ივლისამდე, წლების მიხედვით. | |
| | 9.13. 2008 წლიდან 2010 წლის 9 ივლისამდე ვინ და როდის მიიღო პრემია, რა რაოდენობით და რა მიზეზით. | შესაძლოა პასუხი დანართიშა მოცემული (რომელიც არ გვაქვს), თუმცა წერილიდან ეს არ ჩანს. |

| | | |
|---|---|---|
| | 9.14. აჭარის ა/რ მთავრობასა და აპარატში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება 2009 -2010 წლების და თითოეულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული თანხის მიხედვით. | |
| | 9.15. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის აპარატის თითოეული თანამშრომელი რა ანაზღაურებას იღებს ყოველთვიურად. | გადამისამართებაა პრეზიდენტის ბრძანებულებაზე. ასევე მოცემულია ბიუჯეტის კანონის მიხედვით 2011 წელს შრომის ანაზღაურებაზე მთავრობის აპარატისთვის გათვალისწინებული სრული თანხა. |
| | 9.16. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის აპარატის თითოეული თანამშრომლის პრემია. | მოცემულია კანონდებლობით დადგენილი წესი, და არა რეალური ხარჯები. |
| **10. საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი** | 10.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე) | |
| | 10.2. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია. | |
| **11. ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები** | 11.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | |

| | | |
|---|---|---|
| **12. პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია** | 12.1. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | |
| | 12.2. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | |
| | 12.3 შეიქმნა თუ არა კომისია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 07 ივლისის #111 დადგენილების საფუძველზე. | პასუხში ნათქვამია, რომ აღნიშნული დადგენილება აჭარის მთავრობის მხრიდან კომისიის შექმნას არ ითვალისწინებდა, ხოლო მონაცვლეობაზე უფლებამოსილი ორგანო იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც აღარ არსებობენ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ახალი კანონის მიღების შემდეგ. ხოლო არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის უფლებას. ასევე ნათქვამია, რომ მიმდინარეობს საკითხის შესწავლა მისი სამართლებრივი დარეგულირების მიზნით. |
| | 12.4. აჭარის ა/რ მთავრობას აქვს თუ არა თავისი პროექტი სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. | ნათქვამია, რომ აჭარის ა/რ ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებულია არაერთი ღონისძიება, თუმცა არ არის დაკონკრეტებული აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი. კონკრეტულ ღონისძიებებზე ინფორმაცვიის მისაღებად განმცხადებელს ამისამართებენ აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. |
| | 12.5. აჭარის ა/რ მთავრობის მიერ მიმდინარე წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამების პროექტები. | |
| | 12.6. აჭარის ა/რ მიერ ქ. გორში, რომელ ცხრა საცხოვრებელ სახლში და საბავშვო ბაღში იქნა განხორციელებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. | |

| | | |
|---|---|---|
| **13. გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა** | 13.1. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანამანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | |
| | 13.2. თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა. | |
| | 13.3. რა თანხა დახარჯა აჭარის მთავრობამ მიმდინარე საახალწლო ღონისძიებებზე. ამ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის ამსახველი დოკუმენტაციის ქსეროასლები (2009 წლის 31 დეკემბრიდან 2010 წლის 15 იანვრის ჩათვლით). | |
| | 13.4. მიმდინარე ღონისძიებების დაფინანსების წყაროები და შესაბამისი დოკუმენტაციის ქსეროასლები. | |
| | 13.5. რა თანხა დაიხარჯა აჭარის მთავრობის მიერ მომზადებულ საახალწლო ვიდეო რგოლებზე, რომელიც 2009 წლის 20 დეკემბრიდან ნაციონალურ ტელევიზიებში (იმედი, რუსთავი 2) რეკლამის სახით გადიოდა. | |
| | 13.6. აჭარის მთავრობის მიერ მომზადებულ საახალწლო ვიდეო რგოლების, რომელიც 2009 წლის 20 დეკემბრიდან ნაციონალურ ტელევიზიებში (იმედი, რუსთავი 2) რეკლამის სახით გადიოდა, დაფინანსების წყარო. | |

| | | |
|---|---|---|
| **14. სამართლებრივი აქტები** | 14.1. აჭარის ა.რ. მთავრობის 2008 წლის 29 იანვრის #13 განკარგულება. | პასუხი მოცემულია დანართში, რომელიც არ გვაქვს. |
| | 14.2. არსებობს თუ არა აჭარის ა/რ მთავრობის რაიმე სახის ადმინისტრაციული აქტი სოფ. საცხოვრიას მიწების საძოვრებად გამოცხადების შესახებ. | იგივე ინფორმაცია კიდევ ერთხელ გამოითხოვა იგივე პიროვნებამ (იმის გამო, რომ პირველად გაცემულ პასუხში თარიღი არასწორად ეწერა). მეორე პასუხში წერია, რომ რაიმე ადმინისტრაციული აქტი არ არის მიღებული, მოცემულია ადმინისტრაციული აქტის განმარტება და ასევე მითითებულია, რომ მიწების საძოვრებად გამოცხადება არ შედის აჭარის ა/რ მთავრობის უფლებამოსილებაში. |
| | 14.3. აჭარის ა/რ მთავრობის 2008 წლის 26 დეკემბრის #59 დადგენილება აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ. | |
| | 14.4. აჭარის ა.რ. მთავრობის მიერ ქ გორში ხახუტაშვილის #3, #4, #5 განხორციელებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ამსახველი სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტების ასლები. | |
| | 14.5. აჭარის ა/რ მთავრობის მიერ ქ. გორში განხორციელებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში შეკეთებული ბინების, მოსახლეობასთან ურთიერთობის ამსახველი ფინანსური და სამართლებრივი დოკუმენტების ასლები. | ინფორმაცია არის დანართში, რომელიც მთავრობის აპარატს არ მოუწოდებია. |

| | | |
|---|---|---|
| | 14.6. 2004 წლიდან მიღებული და ამჟამინდელი მდგომარეობით არსებული (DVD დისკზე ჩაწერილი) აჭარის ა/რ მთავრობის დადგენილებები. | |
| | 14.7. აჭარის ა/რ მთავრობის აპარატში აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის სტატუსის შემსწავლელი კომისიის არსებობის შესახებ ყველა სახის დოკუმენტაცია (დებულება, კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია, რეკომენდაცია და ა.შ.) | |
| | 14.8. აჭარის ა/რ ქონების და ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ქონების პრივატიზაციის შესახებ აჭარის მთავრობის მიერ მიღებული (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებული) ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები (დებულება, ინსტრუქცია და ა.შ), რომლებითაც აჭარის მთავრობა ხელმძღვანელობს პრივატიზაციის დროს (გარდა საქართველოს პარლამენტის მიღებული აქტებისა). აღნიშნული აქტების ქსეროასლები. | გადამისამართებაა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში. |
| | 14.9. აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ოქტომბრის #156 ბრძანების ქსეროასლი. | |

| | | |
|---|---|---|
| | 14.10. აჭარის ა/რ მთავრობის 2006 წელს მოქმედი რეგლამენტი, შესაბამისი ცვლილებებით და დამატებებით. | |
| | 14.11. აჭარის ა/რ მთავრობის დებულება. | |
| | 14.12 . აჭარის ა/რ მთავრობაში არსებული დოკუმენტაცია (ინიციატივა, რეკომენდაცია, კანონპროექტი ა.შ.) რომელიც ეხება აჭარის ტელერადიო დეპარტამენტის სტატუსის შეცვლის საკითხს (მათ შორის აჭარის ა/რ მთავრობაში ამ საკითხზე 2004 წლის მაისიდან 2010 წლის 14 იანვრამდე შესული და გასული კორესპონდენცია). | |
| | 14.13. აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის #12 დადგენილება რომელიც ეხება სასოფლო ბიბლიოთეკების სკოლების ბიბლიოთეკებთან შეერთებას. ამ დადგენილების ასლი. | |
| | 14.14. აჭარის ა.რ. მინისტრთა საბჭოს 2002 წლის 28 ივნისის #63 დადგენილების დამოწმებული ასლი, მთავრობის აპარატის არქივში დაცული მასალებიდან. | |
| | 14.15. აჭარის ტელერადიო დეპარტამენტის დაფუძნების მიზნით აჭარის მთავრობის მიერ მიღებული ყველა იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტის ასლი. | |

| | | |
|---|---|---|
| | 14.16. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტები (მუხლი, ნაწილი) რომელთა მიხედვითაც 2011 წლის 11 იანვრის მდგომარეობით ფუნქციონირებს აჭარის ტელერადიო დეპარტამენტი. | |
| **15. სხვა საჯარო ინფორმაცია** | 15.1. რომელი უწყებაა აჭარის ა.რ. მინისტრთა საბჭოს სამართალმემკვიდრე. | |
| | 15.2. რომელი უწყებაა აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრე. | |
| | 15.3. აჭარის ა/რ მთავრობის მიერ არის თუ არა აღიარებული ქედის რაიონის წონიარის საკრებულოს სოფ.საცხოვრიას ტერიტორია საძოვრების სტატუსით. | |
| | 15.4. აჭარის ა/რ მეთაურის მიერ 2004 წლის შემდეგ რამდენი შენობა-ნაგებობის ან ტერიტორიის გადაცემა მოხდა სიმბოლურ ფასად. | |
| | 15.5. სიმბოლურ ფასად გადაცემული ობიექტების მისამართი, მოცულობა და ფასის ოდენობა. | პასუხიდან გამომდინარე, დანართში ინფორმაცია სრულყოფილად უნდა იყოს მოწოდებული. |
| | 15.6. ვის გადაეცა აღნიშნული ობიექტები/ფართები სიმბოლურ ფასად, რა პირობით და როდის. | პასუხიდან გამომდინარე, დანართში ინფორმაცია სრულყოფილად უნდა იყოს მოწოდებული. |

| | | |
|---|---|---|
| | 15.7. ინფორმაცია აჭარის ა/რ მთავრობის კრედიტორული და დებიტორული დავალიანებების შესახებ , ვალის წარმოშობის დრო და დაგროვების მიზეზები. დამოწმებული დოკუმენტაციით. | პასუხში ნათქვამია, რომ დავალიანება არ ყოფილა. |
| | 15.8. იმ საჯარო მოსამსახურეთა მონაცემები (თანამდებობების მითითებით), რომლებიც 2010 წლის 5 მაისისთვის იმყოფებიან შვებულებაში. | |
| | 15.9. 2010 წლის 5 მაისისთვის შვებულებაში გასვლის დრო და შვებულების ხანგრძლივობა. | |
| | 15.10. 2010 წლის 29 აპრილიდან 2010 წლის 3 მაისამდე აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატის რამდენი თანამშრომელი სარგებლობს შვებულებით. მათ შორის რამდენი თანამშრომელია ანაზღაურებად შვებულებაში და რამდენი ანაზღაურების გარეშე შვებულებაში (სახელის და გვარის მითითებით). | |
| | 15.11. ანაზღაურებად და ანაზღაურების გარეშე შვებულებაში მყოფი თანამშრომლების სახელობითი სია თანამდებობების, შვებულებაში გასვლისა და შვებულების დასრულების თარიღების მითითებით. | |

| | | |
|---|---|---|
| | 15.12. რომელი სახ.დაწესებულება წარმოადგენს აჭარის ა/რ ყოფილი უშიშროების სამინისტროს სამართალმემკვიდრეს ან უფლებამონაცვლეს. | ნათქვამია, რომ აჭარის ა/რ მთავრობის აპარატში ასეთი ინფორმაცია არ არის დაცული. |
| | 15.13. რამდენი ობიექტი (უძრავი და მოძრავი) გაასხვისა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ პირდაპირი მიყიდვის წესით. სტატისტიკური მონაცემები წლებისა და თვეების მიხედვით. | გადამისამართებაა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში |
| | 15.14. ყველა გასხვისებული ობიექტის (უძრავი და მოძრავი) მისამართი. გასხვისების პირობები და ყველა დოკუმენტი (ბრძანება, განკარგულება, დადგენილება). | გადამისამართებაა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში. |
| | 15.15. ინფორმაცია რომელი ობიექტი (უძრავი და მოძრავი) გადასცა აჭარის მთავრობას ქ. ბათუმის მერიამ. | გადამისამართებაა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში. |
| | 15.16. აჭარის მთავრობისთვის გადმოცემული უძრავი/მოძრავი ობიექტების განკარგვის, გასხვისების ან სხვა მიზნით გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია: რაში, როგორ და რა ფორმით გამოიყენა გადაცემული უძრავი/მოძრავი ობიექტები აჭარის მთავრობამ. | გადამისამართებაა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში. |

## აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკისა სამინისტრო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2009-2011 წწ.

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შემთხვევაში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში 2011 წელს გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე, რადგანაც სამინისტრომ სხვა ორგანიზაციების/პირების მიერ გაგზავნილი მოთხოვნების ასლები ინსტიტუტს არ მიაწოდა. შესაბამისად, საკითხების აქტუალობა ამ შემთხვევაში ნაკლებად გამოკვეთილია, რადგან IDFI-ის პროექტის განმავლობაში საჯარო დაწესებულებებში სტანდარტული კითხვები იგზავნებოდა.

2011 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სულ 33 საკითხზე მიმართა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. აქტუალობის თვალსაზრისით ყველაზე მეტი მოთხოვნა ეხებოდა ავტოპარკს, ხელფასებსა და დანამატებს.




გაგზავნილი კითხვების უმეტესობა (19) აჭარის ფინანსთა სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა, რაც მთელი საკითხების 58%-ს შეადგენს. 8 საკითხზე არასრულყოფილი პასუხი გაიცა, 6 შემთხვევაში პასუხი სრულყოფილი იყო, უარი არც ერთ საკითხზე არ ყოფილა.




კატეგორიების მიხედვით სრულყოფილად იქნა მოწოდებული ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების, შტატისა და პროექტების/პროგრამების შესახებ. საინტერესოა ტენდენცია, რომ იგნორებული იქნა ის კითხვები, რომლებიც უშუალოდ სამინისტროს თანამდებობის პირთა ხარჯებს ეხებოდა კერძოდ, თანამდებობის პირების სატელეკომუნიკაციო, სამივლინებო და ავტოპარკის ხარჯებს, ასევე თანამდებობის პირების ხელფასებს, დანამატებსა და პრემიებს.

არასრულყოფილი პასუხების მიზეზები სხვადასხვაა: მოწოდებული იქნა მხოლოდ 2011 წლის მეორე კვარტალის ბიუჯეტი, არ იქნა გაცემული ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი, სატელეკომუნიკაციო ხარჯების შემთხვევაში არ იქნა მითითებული მობილური ოპერატორები, საერთაშორისო და ლოკალური ზარების შესახებ ინფორმაცია, არ იქნა გამოყოფილი საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები. ცალკე შესყიდვებში მოცემული იყო საწვავის ხარჯი (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯამური ღირებულება და გახარჯული თანხა), თუმცა არ იქნა გამიჯნული პირველი და მეორე კვარტალი; ხელფასები, დანამატები და პრემიები ასახული იქნა ბიუჯეტში და ცალკე არ იყო გამოყოფილი.


მოწოდებული ინფორმაცია ბლოკების მიხედვით
ბიუჯეტი
სარეზერვო ფონდები
უძრავი ქონება
სახელმწიფო შესყიდვები
ტელეკომუნიკაცია
მივლინებები
ავტოპარკი
შტატი
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი
ხელფასები და დანამატები
პრემიები
საჯარო ინფორმაცია
საჯარო რეესტრი
ვებ-გვერდი
პროექტები
ღონისძიებები
1
2
1 1
2
1 1
1
2 5
2
1
2 2
1 1
1
1
1
2
2
0 1 2 3 4 5 6 7
სრულყოფილი
არასრულყოფილი
უარი
იგნორირება


ინფორმაციის მოწოდების ვადები ბლოკების მიხედვით
ბიუჯეტი
სარეზერვო ფონდები
უძრავი ქონება
სახელმწიფო შესყიდვები
ტელეკომუნიკაცია
მივლინებები
ავტოპარკი
შტატი
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი
ხელფასები და დანამატები
პრემიები
საჯარო ინფორმაცია
საჯარო რეესტრი
ვებ-გვერდი
პროექტები
ღონისძიებები
1
1
2
1
2
2
2
1
2
0
0,5
1
1,5
2
ვადების დაცვა
ვადების დარღვევა

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | | |
|---|---|---|
| მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია | მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია | კომენტარი |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | მოწოდებულია მხოლოდ მეორე კვარტალის ბიუჯეტის ბალანსი. |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ | |
| | 2.2. გამოყოფილი თანხების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი. | |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი. | არ არის ცალკე გამოყოფილი, მოცემულია ბიუჯეტში. |
| | 3.2. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება. | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია). | |
| | 4.2. თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა. | |

| | | |
|---|---|---|
| **5.ტელეკომუნიკაცია** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | |
| | 5.2. თანამშრომლების/სრული სისტემის სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | არ არის მითითებული  ინფორმაცია მობილური ოპერატორების, საერთაშორისო და ლოკალური ზარების შესახებ. არ არის გამოყოფილი პირველი და მეორე კვარტალი. |
| | 5.3. სამინისტროს თანამშრომელთა მობილური ტელეფონებისა და ავტომანქანების შესყიდვაზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა. | |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ (მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) ხელმძღვანელი პირები) ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული  სამივლინებო ხარჯების შესახებ. | მოწოდებულია მივლინებების სრული ხარჯი (ბიუჯეტში), მოთხოვნა თანამდებობის პირების შესახებ იგნორირებულია. ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გაწეული ხარჯები არ არის მითითებული. |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი | |
| | 7.2. თანამდებობის პირებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება. | |
| | 7.3. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი. | |

| | | |
|---|---|---|
| | 7.4. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი (სრული). | მოცემულია ტრანსპორტის  ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საერთო ხარჯი, სადაც არ არის გამოყოფილი საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები. ცალკე შესყიდვებში მოცემულია საწვავის ხარჯი (ჯამური ღირებულება ხელშეკრულებით და გახარჯული თანხა), თუმცა არ არის გამოყოფილი პირველი და მეორე კვარტალი. |
| | 7.5. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.6. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა | მოცემულია ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საერთო ხარჯი, სადაც არ არის ავტომანქანების მომსახურებაზე გაწეული ხარჯები. |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.2. შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| **9. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი** | 9.1. სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია. | |
| **10. ხელფასები და დანამატები** | 10.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა (მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) ხელმძღვანელი პირები და მათი მოადგილეები). | მოცემულია მხოლოდ სრული სისტემის ხარჯები (ბიუჯეტში). |
| | 10.2. თანამდებობის პირებზე (მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) ხელმძღვანელი პირები და მათი მოადგილეები) გაცემული დანამატების რაოდენობა. | მოცემულია მხოლოდ სრული სისტემის ხარჯები (ბიუჯეტში). |

| | | |
|---|---|---|
| | 10.3. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | მოწოდებულია მხოლოდ მეორე კვარტალი |
| | 10.4 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | მოწოდებულია მხოლოდ მეორე კვარტალი |
| **11. პრემიები** | 11.1 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | მოცემულია მხოლოდ სრული სისტემის ხარჯები, ბიუჯეტში. |
| | 11.2. სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | მოწოდებულია მხოლოდ მეორე კვარტალი. |
| **12. საჯარო ინფორმაცია** | 12.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე). | |
| **13. საჯარო რეესტრი** | 13.1. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია. | |
| **14. ვებ-გვერდი** | 14.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | |
| **15. პროექტები** | 15.1. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | არ არის ცალ-ცალკე გამოყოფილი პირველ და მეორე კვარტალში განხორციელებული პროექტები. |

| | | |
|---|---|---|
| | 15.2. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | არ არის ცალ-ცალკე გამოყოფილი პირველ და მეორე კვარტალში განხორციელებული პროექტები. |
| **16. ღონისძიებები** | 16.1. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | |
| | 16.2. თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა. | |

## აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2010-2011 წწ.

აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2010 და 2011 წლების საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილები მიიღო. სამინისტროს პასუხში ნათქვამია რომ 2009 წლის მონაცემების დამუშავება და მოწოდება ვერ მოხერხდა სამინისტროს აპარატის ახალ შენობაში გადასვლის გამო. აქედან გამომდინარე აჭარის განათლების სამინისტროს შემთხვევაში მხოლოდ 2 წლის მონაცემების კვლევა და სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა.

2010-2011 წლებში აჭარის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის 170 მოთხოვნა შევიდა. აქედან მოთხოვნების უმეტესი ნაწილი - 149 მოთხოვნა 2011 წელზე მოდის. 2010 წელს სამინისტროს მიერ მიღებული მოთხოვნების რიცხვი 21 შეადგენს.

თემატურად ყველაზე აქტუალური იყო პროექტების/ პროგრამებისა და ღონისძიებების საკითხები. 2011 წელს სამინისტროს მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ სოციალურ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა სფეროების განვითარებაზე მიმართულ პროექტებსა და პროგრამებზე სამინისტროში 36 მოთხოვნა გაიგზავნა. კულტურულ, სარეკლამო და სოციალური ხასიათის ღონისძიებების შესახებ საჯარო ინფორმაციიის ყველა მოთხოვნა (სულ 34) 2011 წელს იქნა გაგზავნილი.

პროექტებისა და ღონისძიებების შემდეგ ყველაზე მოთხოვნადი იყო ინფორმაცია ხელფასების, სახელფასო დანამატების, პრემიებისა და სამართლებრივი აქტების შესახებ, რომელსაც მცირედით ჩამორჩება იშეკითხვები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

გარდა ძირითდი საკითხებისა აჭარის განათლების სამინისტროდან მოთხოვნილი იქნა სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, რომელიც სპეციალურ ბბლოკში - სხვა საჯარო ინფორმაცია - გავაერთიანეთ. სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირების მიერ მოთხოვნილ იქნა მონაცემები სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულებების, სსიპ-ებისა და ააიპ -ების შესახებ, თანამდებობის

პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა საკონტაქტო ინფორმაცია და სტატისტიკური ინფორმაცია სკოლების, სხვადასხვა კულტურული ძეგლების, სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ.






აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჭარის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ გაცემული პასუხების აბსოლუტური უმრავლესობა სრულყოფილია.170 მოთხოვნიდან მხოლოდ 4 შემთხვევაში იყო გაცემული არასრულყოფილი პასუხი, ხოლო 12 მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.

არასრულყოფილი პასუხები კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: სატელეკომუნიკაციო ხარჯები, მივლინებები და ავტოპარკი.




შინაარსობრივად, პასუხები სხვადასხვა მიზეზების გამო იყო არასრულყოფილი. მაგ. არ იყო მოწოდებული მონაცემები სამინისტროს სრული სისტემის სატელეკომუნიკაციო და თანამდებობის პირების სამივლინებო ხარჯების შესახებ. არ არის გაცემული ინფორმაცია ავტომანქანების პერსონალური გადანაწილებისა და საწვავის ხარჯების შესახებ.

რაც შეეხება ინგორირების შემთხვევებს, პასუხი არ გაეცა კითხვებს სარეზერვო ფონდების, თანამდებობის პირთა ავტოპარკის ხარჯების, ხელფასებისა და პრემიების შესახებ. სამინისტრომ არ უპასუხა მოთხოვნებს უწყების საშტატო განრიგთან და ვებ-გვერდის შექმნის ხარჯებთან დაკავშირებით.




სამინისტრომ მოთხოვნების უმეტესობას, 155-დან 118 მოთხოვნას, ვადის დაცვით გასცა პასუხი. 37 მოთხოვნაზე განმცხადებელმა ინფორმაცია დაგვიანებით მიიღო. ვადის დარღვევით გაცემული პასუხები პროექტებს/პროგრამებს და სტატისტიკური ხასიათის ინფორმაციას შეეხება.



## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტრო

| აჭარის ავტონომიური რესპუბლისკის განათლების და კულტურის სამინისტრო | | |
|---|---|---|
| მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია | მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია | კომენტარი |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ | |
| | 2.2. გამოყოფილი თანხების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი. | |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი | |
| | 3.2. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) | |
| | 4.2. თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა | |
| | 4.3.შესყიდვების ხელშეკრულებების ასლები | |

| | | |
|---|---|---|
| | 4.4. შესყიდვების გეგმები | |
| | 4.5. შესყიდვების ანგარიშები | |
| **5. სატელეკომუნიკაციო ხარჯები** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | |
| | 5.2. თანამშრომლების ხარჯები სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები). | |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | მოცემულია მხოლოდ სრული სისტემის ჯამური ხარჯი ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გაწეული ხარჯების შესახებ პირველ და მეორე კვარტალში. არ არის მოცემული ინფორმაცია თანამდებობის პირების შესახებ. |
| | 6.2. თანამშრომლების სამივლინებო ხარჯები | |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი | |
| | 7.2. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება. | არ არის მოწოდებული ავტომანქანების თანამდებობის პირებზე გადანაწილება. |

| | | |
|---|---|---|
| | 7.3. თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯი. | არ არის დაკონკრეტებული, თანამდებობის პირების შესახებ არის მოწოდებული ინფორმაცია თუ სრული სისტემის შესახებ. მოწოდებულია საწვავის ლიმიტი, მაგრამ არ არის მითითება ფაქტობრივ ხარჯებზე. ინფორმაცია კვარტალების შესახებ არ არის მოცემული. |
| | 7.4. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული. | არ არის დაკონკრეტებული, თანამდებობის პირების შესახებ არის მოწოდებული ინფორმაცია თუ სრული სისტემის შესახებ. მოცემულია საწვავის ლიმიტი, მაგრამ არ არის მითითება ფაქტობრივ ხარჯებზე. ინფორმაცია კვარტალების შესახებ არ არის მოცემული. |
| | 7.6. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.7. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა | |
| | 8.2. შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | არ არის მოწოდებული ინფორმაცია შტატგარეშე პირების შესახებ. |
| | 8.3. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია. | |
| **9. ხელფასები/ დანამატები/პრემიები** | 9.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.2. თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.3. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.4 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |

| | | |
|---|---|---|
| | 9.5 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | მოცემულია სრული სისტემის პრემიები (პირველი და მეორე კვარტალის ჯამური რაოდენობა), მაგრამ თანამდებობის პირებზე პრემიების შესახებ ინფორმაცია მოწოდებული არ არის. |
| | 9.7. 9.6 სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| | 9.7. ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| **10. საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი** | 10.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე). | |
| | 10.2. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია. | |
| **11. ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები** | 11.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | |
| **12. პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია** | 12.1. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | |

| | | |
|---|---|---|
| | 12.2. ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ. | |
| | 12.3. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | |
| | 12.4. განხორციელებული პროექტების ანგარიშები | |
| | 12.4.პროგრამის დაწყების თარიღი | |
| **13. გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა** | 13.1. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | |
| | 13.2. თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა. | |
| **14. სამართლებრივი აქტები** | | |
| **15. სხვა საჯარო ინფორმაცია** | 15.1. ინფორმაცია სამინისტროს დაქვემდებარებული საქვეუწყებო დაწესებულებების, სსიპ-ებისა და ააიპების შესახებ. | |
| | 15.2. თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საკონტაქტო ინფორმაცია | |
| | 15.3. ინფორმაცია ანაზღაურებად და არაანაზღაურებად შვებულებაში მყოფი თანამშრომლების და შვებულების დროების შესახებ | |
| | 15.4. ინფორმაცია შენობების ექსპერტიზისა და დემონტაჟის შესახებ | |

| | | |
|---|---|---|
| | 15.5. სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაცია | მოთხოვნილია ინფორმაცია, სკოლების, სხვადასხვა კულტურული ძეგლების, სკოლებში დასაქმებულთა და ა.შ. რაოდენობის, შესახებ |

## აჭარის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2009-2011 წწ.

2009-2011 წლებში აჭარის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა დასოციალური დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის 116 მოთხოვნა შევიდა. მოთხოვნების დიდი ნაწილი - 82 კითხვა, 2011 წელს იქნა გაგზავნილი. 23 შეკითხვა გაიგზავნა 2010 წელს, ხოლო 2009 წელს მხოლოდ 11.

ეს მონაცემები ნაწილობრივ ასახავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეალურ სურათს, რადგან ჯანდაცვის სამინისტრომ, სამინისტროს არქივში მიმდინარე სამუშაობის გამო გაცემული საჯარო ინფორმაციის რეკვიზიტები სრულად ვერ მოგვაწოდა. როგორც აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს წერილებიდან ირკვევა, საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი სამინისტროს მიერ განხორციელებულმა სამეცნიერო, კულტურულმა და სოციალურმა ღონისძიებებმა გამოიწვია (სულ 21მოთხოვნა).




არანაკლებ აქტუალურია პროექტებისა და პროგრამების საკითხი (14 მოთხოვნა). პროექტებთან/პროგრამებთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა 2011 წელს იქნა

გაგზავნილი. განმცხადებლები ხშირად ითხოვენ ინფორმაციას თანამდებობის პირებისა და საჯარო მასამსახურეებისა ხელფასებისა და პრემიების შესახებაც.

სამინისტროდან ასევე მოთხოვნილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს შესახებ. თუმცა სამწუხაროდ 2009 -2011 წლებში გაგზავნილი 18 მოთხოვნიდან მხოლოდ ერთს გაეცა სრულყოფილი პასუხი. დანარჩენ შემთხვევაში განმცხადებლებს უთითებენ ვებ-გვერდზე ან ამისამართებენ სხვა დაწესებულებებში.

2009- 2011 წლის მონაცემების მიხედვით სამინისტრომ მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის 51% გასცა სრულყოფილი სახით. პასუხების საკმაოდ დიდი ნაწილი 44 % არასრულყოფილია ხოლო, მოთხოვნების 5 % იგნორირებულია.




კატეგორიების მიხედვით ყველაზე მეტი არასრულყოფილი პასუხი სტატისტიკურ ინფორმაციაზე და პროექტებსა და ღონისძიებებზე მოდის.




ჯანდაცვის სამინისტროს პასუხები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე არასრულყოფილია, რადგან არ ხდება ინფორმაციის გაცემა მოთხოვნის ფორმის შესაბამისად. ინფორმაციის მომთხოვნს ხშირად უთითებენ სამინისტროს ვებ-გვერდზე ან ამისამართებს სხვა საჯარო დაწესებულებაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია და „აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს“.

რაც შეეხება იგნორირებულ მოთხოვნებს ასეთი სულ 6 შემთხვევა დაფიქსირდა და ამათგან 3 კითხვა თნამდებობის პირების ხელფასებს დანამატებსა და პრემიებს უკავშირდება. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილება სამინისტროს არნიშნულ პერიოდში არ მიუღია. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მოთხოვნების უმეტესობას (65%) სზაკ- ის მე-40 მუხლის, პირველი ნაწილით გათვალისწინებული პროცედურული ნორმის დაცვით გასცა პასუხი. თუმცა სამწუხაროდ ვადის დარღვევით გაცემული ინფორმაციის პროცენტული მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია და 35%-ს შეადგენს.




მოთხოვნების შინაარსის მიხედვით ვადის დარღვევით გაეცა პასუხი პროექტებთან, ღონისძიებებთან და სტატისტიკური მონცემებთან დაკავშირებით დასმული შეკითხვების დიდ ნაწილს.

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | | |
|---|---|---|
| მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია | მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია | კომენტარი |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | პირველი კვარტალის ბიუჯეტი არ მოუწოდებიათ. |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ | |
| | 2.2. გამოყოფილი თანხების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი. | |
| | 2.3. სარეზერვო თანხების ხარჯვის ანგარიში | |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი | |
| | 3.2. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) | |
| | 4.2. სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშები | ამისამართებენ სხვა დაწესებულებაში |

| | | |
|---|---|---|
| | 4.3. შესყიდვების ხელშეკრულებები | |
| **5. სატელეკომუნიკაციო ხარჯები** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | |
| | 5.2. თანამშრომლების ხარჯები სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები). | |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | არ არის ინფორმაცია ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გაწეული ხარჯების შესახებ. |
| | 6.2. თანამშრომლების სამივლინებო ხარჯები | |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი | |
| | 7.2. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება. | |
| | 7.3. თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯი. | |
| | 7.4. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი. | არ არის მოწოდებული ინფორმაცია საწვავის ტიპის შესახებ. |

| | | |
|---|---|---|
| | 7.5. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული. | მითითებულია 'მორიგე ავტომანქანა', თუმცა სრული სისტემის ხარჯები გამოყოფილი არ არის. |
| | 7.6. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.7. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა.საშტატო ნუსხა | |
| | 8.2. შტატგარეშე მომუშავე პირთა რაოდენობა. | |
| | 8.3. თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საკონტაქტო ინფორმაცია | |
| | 8.4. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია. | |
| **9. ხელფასები/ დანამატები/პრემიები** | 9.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.2. თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.3. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | |
| | 9.4 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | |
| | 9.5 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | |

| | | |
|---|---|---|
| | 9.6. სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| **10. საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი** | 10.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე). | არ არის მოწოდებული რეკვიზიტები და აქტების ჩამონათვალი. |
| | 10.2. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია. | |
| **11. ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები** | 11.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | |
| **12. პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია** | 12.1. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | |
| | 12.2. ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ. | სამინისტროს პასუხში მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე მითითება. |
| | 12.3. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | |
| | 12.4. განხორციელებული პროექტების ანგარიშები | სამინისტროს პასუხში მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე მითითება. |

| | | |
|---|---|---|
| **13. გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა** | 13.1. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანამანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | |
| | 13.2. თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა. | |
| | 13.3. ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ | სამინისტროს პასუხში მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე მითითება. |
| | 13.4. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანამანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ანგარიშები. | სამინისტროს პასუხში მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე მითითება. |
| **14. სამართლებრივი აქტები** | | მითითებაა სამინისტროს ვებგვერდზე. ამისამართებენ სხვა დაწესებულებასთან; |
| **15. სხვა საჯარო ინფორმაცია** | 15.1. ინფორმაცია სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სსიპების შესახებ. | |
| | 15.2 ინფორმაცია სამინისტროს მიერ დაფუძნებული ააიპების შესახებ | |
| | 15.3. ინფორმაცია ეკომიგრანტების შესახებ; | მოთხოვნაზე, რომელიც სტიქიით დაზარალებულთა დახმარებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხების ოდენობას ეხება ნათქვამია რომ დახმარება კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება |
| | 15.4. ინფორმაცია ანაზღაურებად და არაანაზრაურებად შვებულებაში მყოფი თანამშრომლების რაოდენობის შესახებ; | |
| | 15.5. შვებულებაში გასვლისა და შვებულების დასრულების თარიღები | |

| | | |
|---|---|---|
| **16. სტატისტიკური ინფორმაცია** | 16.1. 2006-2009 წლებში გარდაცვლილ ახალშობილთა რაოდენობა, გარდაცვალების მიზეზების მითითებით | ამისამართებენ სხვა დაწესებულებაში და უთითებენ ვებ-გვერდს |
| | 16.2. 2006 წლის მონაცემებით სანატორიუმ ბათუმში სანატორიუმის გასხვისებამდე მცხოვრები ოჯახების რაოდენობა | |
| | 13.3. სამედიცინო დაწესებულებების კერძოდ საავადმყოფოების, ამბულატორიების, სასწრაფოების, სანიტარული სადგურების რაოდენობა, მათი ჩამონათვალი და თითოეულის საკუთრების ფორმა | სტატისტიკური ინფორმაცია ჯანდაცვისა და სოციალური სფეროდან მოთხოვნილ იქნა ერთი ორგანიზაციის მიერ სამინისტროს პასუხში მათ ამისმართებენ სხვა დაწესებულებებში |
| | 16.4. სამედიცინო დაწესებულებების კერძოდ საავადმყოფოების, ამბულატორიების, სასწრაფოების, სანიტარული სადგურების ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობა | |
| | 16.5. სამედიცინო დაწესებულებებში მეან-გინეკოლოგიური, ქალთა კონსულტაციის და პედიატრიული განყოფილებების რაოდენობა | |
| | 16.6. საწრაფო დახმარების სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა | |
| | 16.7.სავადმყოფოებში საწოლების რიცხვი | |
| | 16.8.2006-2010 წწ. ექსპლუატაციაში შესულ ამედიცინო დაწესებულებათა ჩამონათვალი | |

| | | |
|---|---|---|
| | 16.9.2006-2010 წწ. სოფლრბი და თემები, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დაწესებულებებს | |
| | 16.10.2006-2010 წწ. გარემონტებულ სამედიცინო დაწესებულებათა რაოდენობა.რემონტის ღირებულება | |
| | 16.11.მუნიციპალიტეტებში გავრცელებული ძირითადი დავადებები | |
| | 16.12. 2006-2010 წწ. ამორტიზებულ და სარემონტო სამედიცინო დაწესებულებათა რაოდენობა.ფართი | |
| | 16.13. 2006-2010 წწ. პენსიონერთა, მათ შორის მომუშავე პენსიონერთა (ცალკე) რაოდენობა. | |
| | 16.14. 2006-2010 წწ. სოციალური დახმარების მიმღები პირების რაოდენობა, კატეგორიები; | |
| | 16.15. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისა და ოჯახების რაოდენობა | |
| | 16.16. ბავშვთა სახლებისა თავშესაფრების და უფასო სასადილოების რაოდენობა | |
| | 16.17. საქველმოქმედო ორგანიზაციების და შშმ პირთა გაერთიანებების რაოდენობა | |
| **17. საკონსულტაციო ხასიათის შეკითხვები** | 17.1. ეკუთვნის თუ არა მოქალაქეს, რომელსაც აქვს გულის სხვადასხვა დაავადებები, მუდმივი პენსია | |

## აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2009 -2011 წწ.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2009-2011 წლებში საჯარო ინფორმაციის 205 მოთხოვნა გაიგზავნა. წლების მიხედვით მოთხოვნების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: 2009 წელს - 56, 2010 წელს - 24, 2011 წელს სამინისტროსთვის გაგზავნილი მოთხოვნების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და 125 შეადგინა.




რაც შეეხება მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსს აჭარის ა/რ სხვა სამინისტროების მსგავსად, ყველაზე აქტუალური ამ შემთხვევაშიც პროექტებთან და პროგრამებთან დაკავშირებული საკითხებია.




205 შეკითხვიდან 110 სხვადასხვა სოციალურ, მიზნობრივ და ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართულ პროექტებსა და პროგრამებს ეხება. მარტო 2011 წელს სამინისტროში პროექტების განხორციელების ანგარიშებთან დაკავშირებული 68 მოთხოვნა გაიგზავნა.

რაოდენობრივად მეორე ადგილს იკავებს ავტოპარკის ხარჯებთან დაკავშირებული მოთხოვნები. ყველა მათგანი 2011 წელს იქნა გაგზავნილი. ხშირია ასევე კითხვები ხელფასებზე, პრემიებზე, და სახელმწიფო შესყიდვებზე.




სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოთხოვნების უმეტესობა (შესაბამისად პროექტებზე მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი) სრულად დააკმაყოფილა და შეკითხვების 88 პროცენტს სრულყოფილი პასუხი გასცა. არასრულყოფილია გაგზავნილი ინფორმაციის მხოლოდ 5%. მოთხოვნების 7% სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა, ხოლო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილება 2009-2011 წლებში არცერთხელ არ მიუღია.




ნაწილობრივ გასცა პასუხი სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ავტოპარკთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, არასრულყოფილია და ვებ-გვერდზე გადამისამართებას მოიცავს სამართლებრივ აქტებზე დასმული კითხვების პასუხები.

სამინისტრომ სრულად არ გასცა საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვასთან დაკავშირებული ინფორმაცია. იგნორირებულია მოთხოვნები თნამდებობის პირთა ხელფასების, პრემიებისა და დანამატების შესახებ. სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა ის შეკითხვებიც, რომლებიც თანამდებობის პირთა მიერ გაწეულ ავტოპარკის, სამივლინებო თუ საკომუნიკაციო ხარჯებს ეხება.




როგორც სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვადების დაცვით გასცა მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი. სზაკ- ის მიხედვით დადგენილ ვადებში გაცემული ინფრომაციის მაჩვენებელმა 79% შეადგინა. 38 საკითხზე (21%) ინფორმაციის მომთხოვნებს პასუხები დაგვიანებით მიეწოდათ. ამათგან ყველა კითხვა პროექტებსა და პროგრამებს შეეხებოდა.


პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია
67
38
0
50
100
150
ვადების დაცვა
ვადების დარღვევა


ინფორმაციის მოწოდების ვადები ბლოკების მიხედვით
ბიუჯეტი
1
სარეზერვო ფონდები
0
უძრავი ქონება
0
სახელმწიფო შესყიდვები
9
სატელეკომუნიკაციო ხარჯები
4
მივლინებები
3
ავტოპარკი
11
შტატი
11
ხელფასები/ დანამატები/პრემიები
10
საჯარო ინფორმაციის გაცემის..
1
ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები
1
გატარებული ღონისძიებების..
2
სამართლებრივი აქტები
9
სხვა საჯარო ინფორმაცია
10
0
2
4
6
8
10
12
ვადების დაცვა
ვადების დარღვევა

## საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ სოფლის მეურნებობის სამინისტრო

| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | |
|---|---|---|
| მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია | მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია | კომენტარი |
| **1. ბიუჯეტი** | 1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია | სავარაუდოდ ინფორმაცია არასრულყოფილია რადგან დანართების რაოდენობა 1 გვერდს შეადგენს. შინაარსი უცნობია. |
| **2. სარეზერვო ფონდები** | 2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ | |
| **3. უძრავი ქონება** | 3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი | |
| **4. სახელმწიფო შესყიდვები** | 4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) | |
| | 4.2. თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა | |
| | 4.3. სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშები | |

| | | |
|---|---|---|
| **5. სატელეკომუნიკაციო ხარჯები** | 5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია. | მოცემულია ინფორმაცია სამინისტროს სრული სისტემის და სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ, მოთხოვნა თანამდებობის პირების შესახებ იგნორირებულია. |
| | 5.2. თანამშრომლების ხარჯები სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები). | |
| **6. მივლინებები** | 6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | მოცემულია სამინისტროს მიერ პირველ და მეორე კვარტალში გაწეული სამივლინებო ხარჯის ჯამური რაოდენობა, თანამდებობის პირები გამოყოფილი არ არის. |
| | 6.2. თანამშრომლების სამივლინებო ხარჯები | |
| **7. ავტოპარკი** | 7.1. თანამდებობის პირებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი | |
| | 7.2. თანამდებობის პირებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება. | |
| | 7.3. თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯი. | მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ სრული სისტემის შესახებ. |
| | 7.4. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი. | |

| | | |
|---|---|---|
| | 7.5. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული. | საწვავის ტიპის შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია მთლიანად (პირველი და მეორე კვარტალი, დიზელი და ბენზინი), არ არის დაკონკრეტებული თითოეულ ტიპზე დახარჯული თანხა |
| | 7.6. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.7. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| | 7.8. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პერსონალური გადანაწილება (მათ შორის ავტომანქანის მოდელი) თანამდებობის პირებზე ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე. | მოცემულია მანქანების ჩამონათვალი და შეძენის თარიღი, მაგრამ არ არის მოცემული ინფორმაცია მათი პერსონალური გადანაწილების შესახებ |
| | 7.9. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი | |
| | 7.10. ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რაოდენობა, შეძენის თარიღი, ღირებულება,დაფუნანსების წყარო, შესყიდვეის ფორმა | |

| | | |
|---|---|---|
| | 7.11. ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა. | |
| **8. შტატი** | 8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.2. შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა. | |
| | 8.3. თანამშრომლების სია თანამდებობების მიხედვით. | |
| | 8.4. სჯარო მოხელეების ვინაობა | |
| | 8.5. მინისტრის თანაშემწეებისათვის გათვალისწინებული შტატების რაოდენობა,გაიზარდა თუ არა შტატი აღნიშნულ თანამდებობაზე; მიზეზი | |
| | 8.6. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი | |
| **9. ხელფასები/ დანამატები/პრემიები** | 9.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | მოწოდებულია ინფორმაცია სრული სისტემის კვარტალური სახელფასო და სადანამატო ხარჯების შესახებ, იგნორირებულია მოთხოვნა თანამდებობის პირების შესახებ. |
| | 9.2. თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | მოწოდებულია ინფორმაცია სრული სისტემის კვარტალური სახელფასო და სადანამატო ხარჯების შესახებ, იგნორირებულია მოთხოვნა თანამდებობის პირების შესახებ. |
| | 9.3. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა. | მოცემულია სამინისტროს სრული სისტემის და სსიპ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის (ცალ-ცალკე) სახელფასო  და სადანამატო ხარჯების შესახებ ინფორმაცია (ჯამური რაოდენობა პირველი და მეორე კვარტალის შესახებ). |

| | | |
|---|---|---|
| | 9.4 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა. | მოცემულია სამინისტროს სრული სისტემის და სსიპ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის (ცალ-ცალკე) სახელფასო და სადანამატო ხარჯების შესახებ ინფორმაცია (ჯამური რაოდენობა პირველი და მეორე კვარტალის შესახებ). |
| | 9.5 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა. | მოწოდებულია ინფორმაცია სრული სისტემის კვარტალური პრემიალური წახალისების შესახებ, იგნორირებულია მოთხოვნა თანამდებობის პირების შესახებ. |
| | 9.6. სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | მოცემულია სამინისტროს სრული სისტემის და სსიპ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის (ცალ-ცალკე) პრემიალური წახალისების შესახებ ინფორმაცია (ჯამური რაოდენობა პირველი და მეორე კვარტალის შესახებ). |
| | 9.7. 9.7 ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა. | |
| | 9.8. თითოეული თანამშრომლის თანამდებობრივი სარგო. | |
| **10. საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი** | 10.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე). | არ არის მოწოდებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი და რეკვიზიტები. |
| | 10.2. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია. | |

| | | |
|---|---|---|
| **11. ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები** | 11.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია. | |
| **12. პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია** | 12.1. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი. | |
| | 12.2. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ანგარიშები. | |
| | 12.3. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა. | |
| **13. გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა** | 13.1. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანამანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი. | |
| **14. სამართლებრივი აქტები** | | გადამისამართება სამინისტროს ვებ-გვერდზე |
| **15. სხვა საჯარო ინფორმაცია** | | |

## ფოკუსირებული დისკუსიების შედეგები

"ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" კვლევის სრულყოფილად განხორციელების მიზნით პროექტის ფარგლებში **ფოკუსირებულ დისკუსია** გამართა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან. **დისკუსია მიზნად ისახავდა** ინფორმაციის გაცვლას და გამოცდილების გაზიარებას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნასთან დაკავშირებით, სამიზნე საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის პრაქტიკის ანალიზს და საზოგადოებისთვის საინტერესო და ყველაზე მოთხოვნადი ინფორმაციის თემატიკის დადგენას.

შეხვედრები გაიმართა როგორც ქალაქ ბათუმში ისე თბილისში. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტერნეტ მედიისა და ბეჭდური მედიის, ასევე სტუდია მონიტორის ჟურნალისტებმა, რომლებსაც ინფორმაციის გამოთხოვნის საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვთ და თავიანთი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად ითხოვენ საჯარო ინფორმაციას G3-ის პარტნიორი დაწესებულებებიდან.

როგორც დისკუსიებიდან გამოიკვეთა, სამიზნე დაწესებულებებიდან, კერძოდ იუსტიციის სამინისტროდან და კონტროლის პალატიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პრაქტიკა არაერთგვაროვანია, რადგან ინფორმაციის გაცემა ხშირად დამოკიდებულია მოთხოვნის შინაარსზე. ერთის მხრივ, იუსტიციის სამინისტრო ყოველთვის ვადის დაცვით გასცემს ინფორმაციას და დამუშავებული სახით გასცემს მონაცემებს, მაგრამ მეორეს მხრივ, თუ მოთხოვნა ეხება ისეთ „სენსიტიურ" თემებს, როგორიცაა მაგალითად პრემიები ან მივლინებები ინფორმაციის მიღება რთულდება. ანალოგიურია ინფორმაციის გამოთხოვნის პრაქტიკა კონტროლის პალატიდანაც. მედიის წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ ინფორმაციის მოთხოვნის წერილებით კონტროლის პალატას, მათი აზრით სასურველია ვებ-გვერდზე განთავსდეს კონტროლის პალატის მიერ შემოწმებული დაწესებულებების ნუსხა. ეს საშუალებას მისცემს ჟურნალისტებს გამოითხოვინ კონკრეტული უწყებების დოკუმენტები, რაც დააჩქარებს და გააადვილებს ინფორმაციის მიღებას. ასევე საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე აუცილებლად უნდა განთავსდეს ბიუჯეტის შესრულების ბალანსი.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით ადვილია ინფორმაციის მიღება შესყიდვების სააგენტოდან, მაღალია სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხიც. თუმცა, საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილ შესყიდვების ოპერატიულ და წლიურ ანგარიშების წერილობით გამოთხოვნა ჟურნალისტებს მაინც უხდებათ. ერთადერთი რეკომენდაცია დისკუსიის მონაწილეების მხრიდან შეეხებოდა საკანონმდებლო ცვლილებების შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე დროულ ასახვას.

ჟურნალისტების აზრით ადვილია ინფორმაციის მიღება საჯარო სამსახურის ბიუროდან. თუმცა, აჭარის ა/რ მთავრობის შესახებ რეგიონალური და ცენტრალური მედიის მოსაზრებები ერთმანეთს არ დაემთხვა. ბათუმის მედიასაშუალებების აზრით აჭარის ა/რ მთავრობის

აპარატიდან ხშირად რთულია სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. ხოლო, თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების აზრით აჭარის მთავრობის აპარატიდან საჯარო ინფორმაციის მიღება კანონმდებლობის ნორმათა დაცვით ხდება.

**რაც შეეხება მოთხოვნილი ინფორმაციის თემატიკას,** ყველაზე ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივად ხარჯვის საკითხი და ფინანსური ხასიათის ინფორმაცია აინტერესებთ. ხშირად ითხოვენ ინფორმაციას სარეზერვო ფონდების, შესყიდვების, შტატის, ბიუჯეტის, ხელფასებისა და პრემიების, სოციალური პროგრამების, პროექტების, სამივლინებო, საკომუნიკაციო და ავტოპარკის ხარჯების, ასევე სხვადასხვა სამართლებრივი აქტების შესახებ.

არსამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგებლებმა შეხვედრებზე ისაუბრეს ზოგადად იმ პრობლემებზე რომლებიც რეალურად არსებობს და რომლებსაც ისინი აწყდებიან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას როგორც საჯარო დაწესებულებების ასევე სასამრთლოს მხრიდან. ძალიან ხშირია ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევები. საჯარო დაწესებულებები ხშირად მარტივი ინფორმაციის გაცემასაც ათ დღეს ანდომებენ. ზოგჯერ მიღებული პასუხები არაადეკვატურია და არ პასუხობს კონკრეტულ მოთხოვნებს. ხშირია ვებ-გვერდზე გადამისამართება. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ოფიციალურ ვებ-გერდებზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების აუცილებლობას.

ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის ხელმისაწვდომობა და საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებაც ჟურნალისტებისა და არასამთავრობოების აზრით აუცილებლად უნდა მოხდეს, საკმაოდ ვრცელია და შემდეგ საკითხებს მოიცავს:

1. პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ბალანსი;
2. ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ (შესყიდვების სააგენტო);
3. კონტროლის პალატის მიერ შემოწმებული დაწესებულებების ნუსხა;
4. ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები;
5. აუქციონის წესით გასხვისებული ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულებები;
6. მსხვილი ობიექტების პრივატიზების ხელშეკრულებები;
7. სააქციო საზოგადოებებში ხმის უფლების მქონე აქციონერთა ვინაობა;
8. ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების შესახებ ერთ პირთან მოლაპარაკების შემთხვევებში;
9. ქართული მხარის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები;
10. პრეზიდენტის განკარგულებები და ბრძანებულებები;
11. ააიპ-ების მიერ საბიუჯეტო თანხების ხარჯვასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

მედიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათთვის ღია უნდა იყოს მთავრობის სხდომები.

# რეკომენდაციები

2009, 2010, 2011 და ზოგ შემთხვევაში 2012 წლის მანძილზე 9 სამიზნე საჯარო დაწესებულებებიდან (აჭარის ა/რ მთავრობა, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს კონტროლის პალატა, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) გამოთხოვილი და ამ დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საზოგადოებისთვის ძირითადი აქტუალობის მქონე საკითხები, რის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები აღნიშნული საჯარო დაწესებულებებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება საქართველოში მოქმედ ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს თანაბრად მოეთხოვება, ქვემოთ წარმოდგენილია ის ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რაც აღნიშნული ცხრა დაწესებულების საქმიანობის დეტალური ანალიზის შედეგად გამოვლენილ საერთო ტენდენციებს ეყრდნობა, და რაც ყველა ამ საჯარო დაწესებულებას თანაბრად ეხება. უფრო მეტიც, შესაძლებელია რეკომენდაციების გავრცობა იმ საჯარო დაწესებულებებზეც, რომლებიც მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფში არ მოხვდნენ

## საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში გაანალიზირებული ცხრა დაწესებულებიდან აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტრო არის ერთადერთი, რომლის მიერ 2009-2011 წლებში სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაციის მაჩვენებელი მხოლოდ 18%-ს შეადგენს. ხუთ შემთხვევაში სრულყოფილი პასუხების წილი განსაკუთრებით მაღალია - 87%-98%. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები დამაიმედებლია, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყოველ ცალკეულ მოთხოვნაზე პასუხის, განსაკუთრებით კი დროული პასუხის, გაცემა მოითხოვს ადამიანური, ფინანსური და დროის რესურსების ხარჯვას. მაგ. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ვადების დაცვით გაცემული ინფორმაციის წილი შეადგენს 45%-ს, ხოლო აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტროს არც ერთ მოთხოვნაზე არ გაუცია პასუხი ვადების დაცვით. მართალია, საჯარო დაწესებულებებში არიან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები, თუმცა შიდა ბიუროკრატიის, შემოსული და გასული წერილების გატარების, საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და საბოლოოდ პასუხის გაცემის პროცესი ხშირად ერთ დღეზე მეტ დროს მოითხოვს, და ერთზე მეტი ადამიანის ჩართულობას საჭიროებს. თვალსაჩინოებისთვის, საჯარო სამსახურის ბიურომ 2009 წელს 60 სრული სამუშაო დღე დაკარგა მხოლოდ ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე პასუხის გაცემაზე. სამი თვის - სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის - განმავლობაში კი თითქმის ყოველ დღე უწევდა ამ საკითხზე შემოსული საჯარო

ინფორმაციის მოთხოვნებზე მუშაობა. ამასთან, დათვლილია მხოლოდ უნიკალური დღეების რაოდენობა - მაგ. თუ ერთი მოთხოვნა შევიდა 7 სექტემბერს და პასუხი გაეცა 9 სექტემბერს, ხოლო მეორე შევიდა 8 სექტემბერს და პასუხი გაეცა 9 სექტემბერს, ის დღეები, რომლებიც გადაიფარა (8 და 9 სექტემბერი) მხოლოდ თითო-თითოჯერ იქნა დათვლილი, თუმცა რეალურად ამ დღეებში დატვირთვა უფრო მეტი იქნებოდა. თუ უბრალოდ შევაჯამებთ ყველა მოთხოვნაზე დახარჯულ დღეებს ცალ-ცალკე (კალენდარული დღეების გათვალისწინების გარეშე), ეს მაჩვენებელი ორჯერ და სამჯერ გაიზრდება, რადგან შემთხვევები როდესაც მოკლე პერიოდში ერთზე მეტი მოთხოვნა იყო პასუხგასაცემი, საკმაოდ ხშირია.

| September 2009 | | | | | | | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 0 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 4 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 5 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 5 |
| 28 | 29 | 30 | | | | | 3 |
| | | | | | | | 17 |

| October 2009 | | | | | | | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | |
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 2 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 5 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 3 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 2 |
| 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | | 4 |
| | | | | | | | 16 |

| November 2009 | | | | | | | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | |
| | | | | | | 1 | 0 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 2 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 5 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 5 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 5 |
| 30 | | | | | | | 1 |
| | | | | | | | 18 |

| December 2009 | | | | | | | ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Mon | Tue | Wed | Thu | Fri | Sat | Sun | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 2 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 1 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 1 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 0 |
| 28 | 29 | 30 | 31 | | | | 0 |
| | | | | | | | 4 |

| | |
|---|---|
| Sum | 55 |

2010 წლიდან, რაც საჯარო სამსახურის ბიურო გადავიდა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონულ სისტემაზე, მოთხოვნილი საკითხების რაოდენობა 570-დან (2009 წელს) 149-მდე შემცირდა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითი იმის, თუ როგორ შეუძლია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას შეამსუბუქოს საჯარო დაწესებულების საქმიანობა.

აქედან გამომდინარე, სასურველია, საჯარო დაწესებულებებმა პროაქტიულად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების მიღებამდე, გაასაჯაროონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც პოტენციურად დიდი ინტერესის და მნიშვნელობის მქონეა საზოგადოებისთვის. კვლევის განმავლობაში ჩატარებული დეტალური ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს ინფორმაციის ის ძირითადი კატეგორიები, რომლებიც ყველაზე აქტუალური და მოთხოვნადია აღნიშნული ცხრა დაწესებულების პრაქტიკის შემთხვევაში.

➢ **საჯარო დაწესებულების ფინანსური გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება** - უმეტესწილად, მოთხოვნილი ინფორმაცია ეხება საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციულ ხარჯებს, რისი ცოდნაც აუცილებელია, რათა მოსახლეობა საქმის კურსში იყოს საზოგადოებრივი რესურსების განკარგვის თაობაზე. ასეთი ინფორმაცია ძირითადად მოიცავს შემდეგ კატეგორიებს, თუმცა არ შემოიფარგლება აღნიშნულით:

o **ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ** (ბიუჯეტის შესრულების ბალანსი, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები, არასაბიუჯეტო შემოსავლები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სარეზერვო ფონდების შესახებ** (სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობა, გამოყოფილი თანხით დაფინანსებული აქტივობები, სარეზერვო თანხების ხარჯვის ანგარიში, შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ** (განხორციელებული შესყიდვების ჩამონათვალი, თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა, შესყიდვების გეგმები, ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ იურიდიულ პირთა და/ან ინდივიდუალურ მეწარმეთა შესახებ, გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, ტენდერების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების ანგარიშები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ** (თანამდებობის პირების, სრული სისტემის, სატელეფონო საუბრებზე დახარჯული თანხები, ტელეფონების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები და ა.შ.);

o **ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ** (ინფორმაცია ოფიციალური ვიზიტების შესახებ, მივლინებებისთვის გამოყოფილი ხარჯები წლების მიხედვით და ა.შ.);

o **ინფორმაცია ავტოპარკის ხარჯების შესახებ** (ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რაოდენობა, შეძენის თარიღი, ღირებულება, დაფინანსების წყარო, შესყიდვის ფორმა, თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი და პერსონალური გადანაწილება, საწვავის ფაქტობრივი ხარჯი, მოხმარებული საწვავის ტიპი, საწვავის ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი, ავტომანქანების მომსახურებაზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა, თითოეული შეძენილი ავტომანქანის დაფინანსების, სარგებლობაში არსებული ავტომანქანის წარმომავლობის წყარო და ა.შ.);

o **ინფორმაცია ხელფასების, დანამატებისა და პრემიების შესახებ** (თანამდებობის პირების ხელფასები, დანამატების და პრემიები, თანამშრომლების ხელფასებზე, დანამატებსა და პრებიემზე დახარჯული კვარტალური თანხები, საშტატო ერთეულებზე განსაზღვრული სახელფასო ანაზღაურება, საპრემიო ფონდისთვის განსაზღვრული თანხების რაოდენობა და ა.შ.);

o **ინფორმაცია საჯარო დაწესებელების მფლობელობაში არსებული ობიექტების შესახებ** (ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი და ღირებულება, გასხვისებული ობიექტების რაოდენობა, მისამართი, გასხვისების პირობები და დოკუმენტაცია, ინფორმაცია სიმბოლურ ფასად გადაცემული ობიექტების შესახებ, ინფორმაცია გადაცემული ობიექტების განკარგვის, გასხვისების შესახებ და ა.შ.);

o **ინფორმაცია კრედიტორული და დებიტორული ვალის შესახებ** - ვალის წარმოშობის დრო და დაგროვების მიზეზები, შესაბამისი დოკუმენტაციით;

o **სხვადასხვა სახის დანახარჯები** (ინფორმაცია საჩუქრებზე და ოფიციალურ მიღებებზე დახარჯული თანხების შესახებ და ა.შ.).

➢ **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ** - ხშირად საზოგადოება ინტერესდება ისეთი სტატიკური სახის ინფორმაციით, რომელიც ეხება საჯარო დაწესებულების საქმიანობას. ასეთი ინფორმაციის ვებ-გვერდზე პროაქტიულად განთავსება თავიდან აცილებს დაწესებულებას ზედმეტ მოთხოვნებს ისეთ სტანდარტულ საკითხებზე, როგორიცაა:

o **ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების შესახებ** (შტატში და შტატგარეშე მომუშავე პირების საერთო რაოდენობა, თანამშრომლების სია თანამდებობების მიხედვით, დასაქმებულ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია კადრების შერჩევის წესისა და ჩატარებული კონკურსების შესახებ, ინფორმაცია ანაზღაურებადი შვებულებების შესახებ - თანამდებობის პირთა ვინაობა, შვებულების დრო, ხანგრძლივობა, ანაზღაურების რაოდენობა და ა.შ.);

o **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების შესახებ** (სტრუქტურული ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპების ჩამონათვალი, სტატუსი და მოვალეობები, შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (აქტის დასახელება, გამომცემი ორგანო, გამოცემის თარიღი და ნომერი), საქვეუწყებო დაწესებულებების ჩამონათვალი, მისამართები და ხელმძღვანელი პირების დასახელება, ინფორმაცია დარეგისტრირებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების შესახებ (რაოდენობა, იურიდიული პირების სია, ხელმძღვანელის, მისამართის, ტელეფონის და ვებ-გვერდის ჩათვლით და ა.შ.)

o აქვე ცალკე გამოსაყოფია, თუ რომელი სტრუქტურული ერთეულის ვალდებულებაში შედის სზაკ-ით დადგენილი **საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება** და აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების სახელი და გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია.

➢ **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ** - საზოგადოება ხშირად ინტერესდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით, რაც თვალსაჩინოს ხდის საჯარო დაწესებულების საქმიანობას და ამ საქმიანობისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების განკარგვას. სასურველია, საჯარო დაწესებეულებამ საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსოს დეტალური ინფორმაცია განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებისა და ღონისძიებების თაობაზე. კერძოდ, შემდეგი სახის ინფორმაცია:

o **ინფორმაციას საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ** (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო,

საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ., პროექტების ჩამონათვალი, თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების ოდენობა, პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების ასლები, ინფორმაცია პროექტის შემუშავებისა და დამტკიცების თარიღის შესახებ, მიმდინარე წელს განსახორციელებული მიზნობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ, განხორციელებული პროექტების ანგარიშები, პროგრამის დაწყების თარიღი და ა.შ.);

o **ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ** (განხორციელებული სარეკლამო, კულტურული, საგანამანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა ღონისძიებების ჩამონათვალი, თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა, ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის ამსახველი დოკუმენტაციის ქსეროასლები, მიმდინარე ღონისძიებების დაფინანსების წყაროები, შესაბამისი დოკუმენტაციის ქსეროასლები და ა.შ.).

- **სამართლებრივი აქტების შესახებ ინფორმაცია** - საზოგადოება ხშირად ინტერესდება საჯარო დაწესებულების შესახებ არსებული ოფიციალური დოკუმენტაციით, როგორიცაა ბრძანებები, დებულებები, დადგენილებები, განხორციელებული სამუშაოების ამსახველი სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტები, თანამშრომლობის მემორანდუმები და სხვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების ასლები.
- **საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების განახლებადი რეესტრი** - სასურველია, საჯარო დაწესეებულებამ ვებ-გვერდზე განათავსოს საჯარო ინფორმაციის რეესტრი - შესული მოთხოვნებისა და გაცემული პასუხების შესახებ ცნობებით, იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით და ა.შ. ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება შეამცირებს ერთ საკითხზე მრავალი ინდივიდუალური მოთხოვნების რაოდენობას, და დაზოგავს საჯარო დაწესებულების რესურსებს.
- **საკონსულტაციო სახის შეკითხვები - ხშირად დასმული კითხვები** - საჯარო დაწესებულებას საკმაოდ ხშირად მიმართავენ არა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, არამედ საკონსულტაციო სახის შეკითხვებით, როგორიცაა მითითებები ხელშეკრულების გაფორმების შესახებ და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო დაწესებულება ხშირ შემთხვევაში სრულყოფილად პასუხობს ასეთ კითხვებს. თუმცა, იმისათვის რომ დაიზოგოს საჯარო დაწესებულების მიერ დახარჯული დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსები, სასურველია, ასეთი სახის ინფორმაცია განთავსდეს საიტზე **ხშირად დასმული კითხვების (Frequently Asked Questions - FAQ) სახით**.

## არასრულყოფილი პასუხების თავიდან აცილება

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკმაოდ დიდია არასრულყოფილი პასუხების წილი. მაგალითად აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პასუხების მხოლოდ 18%

სრულად შეესაბამება გამოთხოვილ ინფორმაციას. როდესაც საჯარო დაწესებულება სრულად არ პასუხობს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, გაცემული პასუხის შემთხვევაშიც კი ის არასრულყოფილად ითვლება. ამიტომ, სასურველია, საჯარო დაწესებულებამ სრულად უპასუხოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, ხოლო პასუხის არგაცემის შემთხვევაში სათანადოდ დაასაბუთოს უარი.

ასევე საკმაოდ ხშირია ინფორმაციის გაცემის ნაცვლად გადამისამრთება ვებ-გვერდებზე, რაც ასევე არ არის სრულყოფილი პასუხი, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა“. სასურველია, საჯარო დაწესებულებამ იმ ფორმით გასცეს საჯარო ინფორმაცია, რა ფორმითაც არის ის მოთხოვნილი, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არსებობს, სათანადოდ დაასაბუთოს საკუთარი ქმედება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროაქტიული გამოქვეყნება არ უქმნის საჯარო დაწესებულებას იმის საფუძველს, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს უპასუხოს ვებ-გვერდზე გადამისამართებით. ამ შემთხვევაში პროაქტიული გამოქვეყნება მხოლოდ და მხოლოდ ამცირებს პოტენციური მოთხოვნების რიცხვს, რადგან საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული პირები შემდგომში ჯერ ვებ-გვერდს შეამოწმებენ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოითხოვენ კონკრეტულ ინფორმაციას, თუ ის ვებ-გვერდზე არ იქნება განთავსებული.

## საჯარო ინფორამციის გაცემა ვადების დაცვით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.“

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული პასუხების 55%-ში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადა დარღვეულია. სასურველია, საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ, ან უკიდურეს შემთხვევაში 10 დღიანი ვადის დაცვით გაიცეს.

## იგნორირებული და უარყოფილი საკითხები

ისეთი შემთხვევები, როდესაც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებაში ნახსენები საკითხი სრულიად უგულებელყოფილია საჯარო დაწესებულების მიერ, მერყეობს პასუხების მთლიანი რაოდენობის 1-8%-მდე. თუმცა ორ შემთხვევაში ასეთი პასუხების რაოდენობა საგანგაშოდ მაღალია - აჭარის მთავრობის მიერ გაცემული პასუხების 20%-ია იგნორირებული, ხოლო აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტროს შემთხვევაში ასეთი პასუხების წილი 58%-ს აღწევს. სასურველია, საჯარო დაწესებულება ყურადღებით გაეცნოს შესულ მოთხოვნებს და ყველა პუნქტს ზედმიწევნით უპასუხოს. იმ შემთხვევაში კი, თუ საჯარო ინფორმაციას ვერ გასცემს, უარი უნდა იყოს დასაბუთებული - შესაბამის სამართლებრივ ნორმაზე მითითებით.